

სს ნიკორა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის

და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	11
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	12
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13
1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	19
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	20
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ	25
6. ამონაგები	29
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	29
8. სხვა შემოსავალი	29
9. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	30
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	30
11. სხვა მოგება ნეტო	31
12. გუდვილი	31
13. ძირითადი საშუალებები	33
14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	35
15. არამატერიალური აქტივები	36
16. ბიოლოგიური აქტივები	36
17. მარაგები	37
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	37
19. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	38
20. სააქციო კაპიტალი	38
21. არამაკონტროლებელი წილი	40
22. ობლიგაციები და სესხები.....	41
23. გადავადებული შემოსავალი	43
24. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	43
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	44
26. პირობითი ვალდებულებები	44
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	44
28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	44
მართველობითი ანგარიშგება	59

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ნიკორას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ნიკორას“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „ნიკორას“ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება გუდვილის საწყის აღიარებასა, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში გუდვილის გაუფასურების ტესტში გამოყენებულ გაანგარიშებებისა და დაშვებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით (გუდვილის საწყისი და საბოლოო ნაშთია 43,618 ათას ლარი). ამ საკითხთან დაკავშირებით 2021 წლის 31 დეკემბრით და ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმულია პირობითი მოსაზრება 2022 წლის 25 მაისს გაცემულ აუდიტის დასკვნაში. ჩვენ ვერ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გუდვილის საბალანსო ღირებულებასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მასთან დაკავშირებულ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი და მიმდინარე გუდვილის ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, დავადგინეთ, რომ პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხის გარდა, ქვემოთ განხილული საკითხები აუდიტის ძირითადი საკითხებია, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
ამონაგების აღიარება და მასთან დაკავშირებული ფასდათმობები ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ჯგუფის მიერ შემოსავლის (ამონაგების) აღიარებისა და შეფასების შემოწმებას, დაბალი ღირებულების მქონე გარიგებების დიდი მოცულობის გამო, რაც მოიცავდა 490 მეტ მაღაზიაში და არა მარტო მომხმარებელთან ვაჭრობას, ასევე დაბრუნებების, ლოიალობის პროგრამის დაანგარიშების შეფასების პროცესის სირთულისა და განსჯადი ხასიათის გამო. შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მე-6 და 28.2 შენიშვნებში, შესაბამისად.	ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: - შევავსეთ კომპანიის მიერ დანერგილი შემოსავლის აღიარებისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების შესაბამისობა ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - მოთხოვნებთან. - შევავსეთ კომპანიის მიერ დანერგილი შემოსავლის აღიარებისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული კონტროლების ადეკვატურობა. - განვახორციელეთ ფულადი ნაკადების, შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე არსებული ოფიციალური ჩანაწერებისა და სხვა მხარდამჭერი დოკუმენტების ანალიზი და შევადარეთ ისინი სააღრიცხვო სისტემებში აღიარებულ თანხებთან. - ცალკეული ტრანზაქციების დონეზე და მათ შორის ლოიალობის პროგრამის გათვალისწინებით შემოსავლების აღიარების საფუძველზე ჩავატარეთ სახელშეკრულებო პირობების ანალიზი, ფასს (IFRS) 15-ში განხილული შემოსავლის აღიარების მოთხოვნებთან მიმართებაში. - ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები ამონაგებზე, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და ამონაგებთან კორელაციაში მყოფ სხვა ხარჯებზე; - შევავსეთ უჩვეულო საჟურნალო გატარებები, მათ შორის სასაჩუქრე ბარათების და ლოიალობის პროგრამის ფარგლებში აღიარებული შემოსავლები. - ვიმსჯელეთ გარიგების ფასის განსაზღვრაში სათანადოდ იყო თუ არა გათვალისწინებული წარსული გამოცდილება და საქმიანობის პრაქტიკა.

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
	შევაფასეთ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა და შესაბამისობა ფასს მოთხოვნებთან.
რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში აღწერილის შესაბამისად, ჯგუფმა გარე დამოუკიდებელი ქონების შემფასებლის დახმარებით, განსაზღვრა მისი ძირითად საშუალებებში აღრიცხული მიწის, შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება ფასს 13-სამართლიანი ღირებულების შეფასება-შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ ქონების შეფასება აუდიტის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან მას აქვს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს არსებითი მსჯელობისა და შეფასებების გამოყენებას.	ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროცედურები: - ჩვენ შევაფასეთ გარე შემფასებლის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და კომპეტენტურობა; - ჩვენი შეფასების სპეციალისტის დახმარებით, შევაფასეთ გამოყენებული მეთოდოლოგია და ძირითადი დაშვებები; - ჩვენ შევადარეთ გამოყენებული მონაცემები, შესადარისი ქონების ფასები, გარედან მოპოვებულ მონაცემებს; - ჩვენ შევაფასეთ სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა.
იჯარების აღრიცხვა ფასს 16 - იჯარა შესაბამისად ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ იჯარების აღრიცხვას, საიჯარო ხელშეკრულებების სახით გარიგებების დიდი მოცულობის გამო, და ამ ხელშეკრულებათა აღრიცხვაში, როგორც მოიჯარის, ასახვის მიზნით გამოყენებული შეფასების პროცესის სირთულისა და განსჯადი ხასიათის გამო. იჯარების ასახვასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-14 და 28.10 შენიშვნებში, შესაბამისად.	ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: - ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ ფასს 16 შესაბამისად ჯგუფის როგორც მოიჯარეს მიერ დანერგილი შიდა კონტროლისა და აღრიცხვის პოლიტიკა. ამ პროცესში გამოვიკვლიეთ მოკლევადიან, ფიქსირებულ ფასიან და ცვალებად ფასიან იჯარის ოპერაციების იდენტიფიცირებასთან და აღიარებასთან დაკავშირებული მსჯელობების ადეკვატურობა. - შევამოწმეთ ფასს 16 შესაბამისად აღიარებული: აქტივების გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების შეფასებისათვის გამოყენებულ მოდულში განივთული პოლიტიკა და გაანგარიშების ლოგიკა; - ამორჩევის გზით ცალკეული ოპერაციების პირველადი დოკუმენტალური მონაცემები შევადარეთ მოდულში ასახულ მონაცემებს და ჩავატარეთ ალტერნატიული გაანგარიშებები. - ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები და ზოგადი რეკონსილაციის პროცედურები;

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
	შევაფასეთ ფინანსურ ანგარიშგებაში იჯარასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა და შესაბამისობა ფასს-ებთან.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2023 წლის 15 მაისს დათარიღებულ მართვლობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონტროლებს წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 55 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 15 მაისს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 55 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

15 მაისი, 2023 წ.

თბილისი, საქართველო

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაეცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუდიტორის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 15 მაისს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკონტროლდა წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 55 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.


ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

15 მაისი, 2023 წ.

თბილისი, საქართველო



სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
ამონაგები	6	1,012,729	749,678
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(710,289)	(530,453)
საერთო მოგება		302,440	219,225
სხვა შემოსავალი	8	1,002	816
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	9	(188,582)	(143,347)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(42,310)	(31,561)
სხვა მოგება ნეტო	11	1,330	170
ფინანსური შემოსავალი		1,564	241
ფინანსური ხარჯები		(24,612)	(23,851)
მოგება საკუთროსო სხვაობიდან ნეტო		19,393	10,195
მოგება დაბეგვრამდე		70,225	31,888
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,243)	(1,053)
მიმდინარე წლის მოგება		68,982	30,835
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების აფასება/(ჩამოფასება)		807	(1,447)
სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		807	(1,447)
წლის სრული შემოსავალი		69,789	29,388
მიმდინარე წლის შემოსავლი მიკუთვნებული			
– მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		66,934	29,426
– არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე		2,048	1,409
წლის სრული შემოსავლი მიკუთვნებული			
– მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		67,700	28,010
– არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე		2,089	1,378

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს.

ირაკლი ბოქლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი

სს“ნიკორა”-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი	12	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	13	165,594	135,916
აქტივების გამოყენების უფლება	14	118,196	95,402
არამატერიალური აქტივები	15	6,340	4,766
ბიოლოგიური აქტივები	16	1,121	770
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		2,463	1,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		337,332	281,695
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	17	128,815	88,113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	32,838	24,707
ფული და ფულის ექვივალენტები	19	39,804	20,462
სხვა ფინანსური აქტივები		-	96
სულ მოკლევადიანი აქტივები		201,457	133,378
სულ აქტივები		538,789	415,073
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	20	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	20	19,546	19,158
გამოსყიდული საკუთარი აქციები	20	(501)	(728)
გადაფასების რეზერვი		24,081	24,887
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		76,562	7,297
არამაკონტროლებელი წილი	21	3,794	1,719
სულ საკუთარი კაპიტალი		129,953	58,804
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	22	94,636	61,383
საიჯარო ვალდებულებები	14	88,178	83,172
გადავადებული შემოსავალი	23	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		185,351	147,092
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	166,194	112,213
სესხები	22	31,023	72,572
საიჯარო ვალდებულებები	14	26,268	24,392
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		223,485	209,177
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		538,789	415,073

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს.

ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	6,471	6,910	(696)	26,432	(315)	38,802	853	39,655
წლის მოგება	-	-	-	-	29,426	29,426	1,409	30,835
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	(1,416)	-	(1,416)	(31)	(1,447)
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(319)	319	-	-	-
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	190	(14,016)	(13,826)	(512)	(14,338)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(5,000)	(5,000)	-	(5,000)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(988)	(988)	-	(988)
აქციების გაყიდვა	-	12,248	-	-	-	12,248	-	12,248
ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა	-	-	(32)	-	(2,129)	(2,161)	-	(2,161)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	6,471	19,158	(728)	24,887	7,297	57,085	1,719	58,804
წლის მოგება	-	-	-	-	66,934	66,934	2,048	68,982
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	766	-	766	41	807
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(1,752)	1,752	-	-	-
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	180	(6,662)	(6,482)	(14)	(6,496)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(5,648)	(5,648)	-	(5,648)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(1,373)	(1,373)	-	(1,373)
აქციების გამოშვება	-	1,430	-	-	-	1,430	-	1,430
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	-	(1,042)	-	-	-	(1,042)	-	(1,042)
სახაზინო აქციების შესყიდვა	-	-	(32)	-	(2,012)	(2,044)	-	(2,044)
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	-	259	-	16,274	16,533	-	16,533
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	6,471	19,546	(501)	24,081	76,562	126,159	3,794	129,953

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს:

ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი

სს“ნიკორა”-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	70,225	31,888
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	45,199	39,257
ფინანსური ხარჯი	24,612	23,851
მარაგების გაუფასურება	17,748	15,393
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(19,393)	(10,195)
კოვიდ 19 - ის შედეგები და სუბსიდია	-	(4,414)
მოგება/(ზარალი) ბიოლოგიური ტრანსფორმაციიდან	(2,099)	(2,059)
საეაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	50	451
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალების გასვლიდან	(521)	175
საპროცენტო შემოსავალი	(1,564)	(241)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
საეაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(7,902)	(9,056)
მარაგების ზრდა	(56,351)	(28,480)
საეაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	56,450	20,127
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	126,454	76,697
გადახდილი პროცენტები	(25,143)	(22,874)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,143)	(1,062)
მიღებული პროცენტები	1,501	353
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	101,669	53,114
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(59,932)	(22,346)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,953)	(2,881)
ძირითადი საშუალებების გასვლა	8,862	954
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის ზრდა	(5,882)	(2,089)
წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(58,905)	(26,362)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	361,292	294,775
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(363,001)	(281,497)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(23,095)	(23,152)
გადახდილი დივიდენდები	(6,995)	(5,452)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	(3,363)	(2,158)
საკუთარი აქციების გაყიდვა	12,277	6,344
წმინდა ფულადი სახსრები გასავალი ფინანსური საქმიანობიდან	(22,885)	(11,140)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	19,879	15,612
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20,462	4,984
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(537)	(134)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	39,804	20,462

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს.

ბნ. ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი ბნ. ირაკლი გეგაძე, ფინანსური დირექტორი

სს"ნიკორა"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
ამონაგები	6	1,012,729	749,678
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(710,289)	(530,453)
საერთო მოგება		302,440	219,225
სხვა შემოსავალი	0	1,002	816
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	0	(188,582)	(143,347)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(42,310)	(31,561)
სხვა მოგება ნეტო	11	1,330	170
ფინანსური შემოსავალი		1,564	241
ფინანსური ხარჯები		(24,612)	(23,851)
მოგება საკუთროსო სხვაობიდან ნეტო		19,393	10,195
მოგება დაბეგვრამდე		70,225	31,888
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,243)	(1,053)
მიმდინარე წლის მოგება		68,982	30,835
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალი</i>			
პირითადი საშუალებების აფასება/(ჩამოფასება)		807	(1,447)
სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		807	(1,447)
წლის სრული შემოსავალი		69,789	29,388
მიმდინარე წლის შემოსავალი მიკუთვნებული			
- მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		66,934	29,426
- არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე		2,048	1,409
წლის სრული შემოსავალი მიკუთვნებული			
- მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		67,700	28,010
- არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე		2,089	1,378

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს.

ირაკლი ზოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯამე, ფინანსური დირექტორი

სს"წიკორა"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი	12	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	13	165,594	135,916
აქტივების გამოყენების უფლება	14	118,196	95,402
არამატერიალური აქტივები	0	6,340	4,766
ბიოლოგიური აქტივები	16	1,121	770
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		2,463	1,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		337,332	281,695
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	17	128,815	88,113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	32,838	24,707
ფული და ფულის ექვივალენტები	19	39,804	20,462
სხვა ფინანსური აქტივები		-	96
სულ მოკლევადიანი აქტივები		201,457	133,378
სულ აქტივები		538,789	415,073
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	20	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	20	19,546	19,158
გამოსყიდული საკუთარი აქციები	20	(501)	(728)
გადაფასების რეზერვი		24,081	24,887
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		76,562	7,297
არამაკონტროლებელი წილი	21	3,794	1,719
სულ საკუთარი კაპიტალი		129,953	58,804
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	22	94,636	61,383
საიჯარო ვალდებულებები	14	88,178	83,172
გადავადებული შემოსავალი	23	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		185,351	147,092
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	166,194	112,213
სესხები	22	31,023	72,572
საიჯარო ვალდებულებები	14	26,268	24,392
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		223,485	209,177
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		538,789	415,073

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს.

ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი

ი.

სს"ნიკორა"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	ჩვეულებრივი საქციო კაპიტალი	პრივილეგირებული საქციო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	6,471	6,910	(696)	26,432	(315)	38,802	853	39,655
წლის მოგება	-	-	-	-	29,426	29,426	1,409	30,835
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	(1,416)	-	(1,416)	(31)	(1,447)
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა	-	-	-	(319)	319	-	-	-
გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	190	(14,016)	(13,826)	(512)	(14,338)
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	-	(5,000)	(5,000)	-	(5,000)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(988)	(988)	-	(988)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	-	-	-	-
აქციების გაყიდვა	-	12,248	-	-	-	12,248	-	12,248
ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა	-	-	(32)	-	(2,129)	(2,161)	-	(2,161)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	6,471	19,158	(728)	24,887	7,297	57,085	1,719	58,804
წლის მოგება	-	-	-	-	66,934	66,934	2,048	68,982
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	766	-	766	41	807
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა	-	-	-	(1,752)	1,752	-	-	-
გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	180	(6,662)	(6,482)	(14)	(6,496)
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	-	(5,648)	(5,648)	-	(5,648)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(1,373)	(1,373)	-	(1,373)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	-	-	-	-
აქციების გამოშვება	-	1,430	-	-	-	1,430	-	1,430
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	-	(1,042)	-	-	-	(1,042)	-	(1,042)
სახაზინო აქციების შესყიდვა	-	-	(32)	-	(2,012)	(2,044)	-	(2,044)
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	-	259	-	16,274	16,533	-	16,533
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის	6,471	19,546	(501)	24,081	76,562	126,159	3,794	129,953

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს:

ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი

ირაკლი გეგაძე, ფინანსური დირექტორი

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	70,225	31,888
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	45,199	39,257
ფინანსური ხარჯი	24,612	23,851
მარაგების გაუფასურება	17,748	15,393
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(19,393)	(10,195)
კოვიდ 19 - ის შედეგათი და სუბსიდია	-	(4,414)
მოგება/(ზარალი) ბიოლოგიური ტრანსფორმაციიდან	(2,099)	(2,059)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	50	451
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალების გასვლიდან	(521)	175
საპროცენტო შემოსავალი	(1,564)	(241)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(7,902)	(9,056)
მარაგების ზრდა	(56,351)	(28,480)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	56,450	20,127
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	126,454	76,697
გადახდილი პროცენტები	(25,143)	(22,874)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,143)	(1,062)
მიღებული პროცენტები	1,501	353
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	101,669	53,114
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(59,932)	(22,346)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,953)	(2,881)
ძირითადი საშუალებების გასვლა	8,862	954
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის ზრდა	(5,882)	(2,089)
წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(58,905)	(26,362)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	361,292	294,775
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(363,001)	(281,497)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(23,095)	(23,152)
გადახდილი დივიდენდები	(6,995)	(5,452)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	(3,363)	(2,158)
საკუთარი აქციების გაყიდვა	12,277	6,344
წმინდა ფულადი სახსრები გასავალი ფინანსური საქმიანობიდან	(22,885)	(11,140)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	19,879	15,612
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20,462	4,984
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	(537)	(134)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	39,804	20,462

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 მაისს.

ბნ. ირაკლი ბოქოლიშვილი, გენერალური დირექტორი ბნ. ირაკლი გეჯაძე, ფინანსური დირექტორი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს “ნიკორა“ (შემდგომში “კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. სს “ნიკორა“ არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება (საიდენტიფიკაციო კოდი 200050675), რომელიც დაფუძნდა 1998 წელს და საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: თბილისი, ა. მრეწველიშვილის ქუჩა 2.

ჯგუფი ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიათა ქსელს საქართველოში. რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 465 მაღაზიის სახით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 372), ასევე აწარმოებს საკვებ პროდუქტებს, ფლობს სადისტრიბუციო ქსელს საქართველოში და ეწევა სოფლის მეურნეობის საქმიანობას. ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს სს ნიკორას ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიებს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გარდა ქვემოთ ცხრილში მოცემული კომპანიებისა სს ნიკორას ყავს ასევე 3 შვილობილი კომპანია, რომელთაც ქვემოთ მოცემულ უმოქმედო კომპანიების მსგავსად ფაქტობრივად არ აქვთ ოპერაციები, აქტივები და ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღებით დასრულებული წლებისათვის:

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	საქმიანობის სფერო
სს ნიკორა ტრეიდი	96.9%	94.7%	საცალო გაყიდვა
შპს მილა საქართველო	50%	50%	ვაჭრობა
შპს ნიკორა	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს კორიდა	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს ოკეანე	100%	100%	ზღვისპროდუქტების წარმოება
შპს ჩვენი ფერმერი	100%	100%	რძის პროდუქტების წარმოება
შპს მზარეული I	100%	100%	პურპროდუქტების წარმოება
შპს კულინარი	50%	50%	სალათების წარმოება
შპს პარტნიორი	100%	100%	დისტრიბუცია
შპს ინტრეიდი	100%	100%	იმპორტი
შპს მულტიტრეიდი	100%	100%	იმპორტი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	94%	91%	კალმახის ფერმა
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100%	100%	ვენახები
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	უმრავი ქონება
შპს ინტრეიდი ფოთი	100%	100%	უმოქმედო
შპს ნიკორა კახეთი	100%	100%	უმოქმედო
შპს ნიკორა აგრო	100%	100%	უმოქმედო
შპს ვებ ტრეიდი	100%	100%	უმოქმედო
შპს კრწანისი 14	100%	100%	უმოქმედო
შპს როიალ კასპია	50%	50%	უმოქმედო
შპს ლაზი-ჰოლდინგი	67%	67%	უმოქმედო
შპს ნუგეში	100%	100%	უმოქმედო
შპს რეფ ენ	63.1%	-	უმრავი ქონება

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 მომზადების საფუძველი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული მიწა, შენობა და ვენახებისა. ბიოლოგიურ აქტივებში შემავალი ქვეჯგუფი თევზები აღრიცხულა გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვეველობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობამ მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2.4.1 2022 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16. თავდაპირველი შესწორება ითვალისწინებდა შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეეძლოთ აესახათ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე;
- საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენდა 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე, თუ არ იყო არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

2021 წლის მარტში საბჭომ გამოუშვა ცვლილება ფასს 16, რომელს მიხედვითაც ზემოთ განსაზღვრული თარიღი გაგრძელდა და შეიცვალა 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფმა მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ ჯგუფმა მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო

გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემდგომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზნით არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

2.4.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

ჯგუფმა ვადადმდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში. აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადავადდოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. ‘დაფარვა’ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში. ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული კომპანიის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ) ჯერ არ განსაზღვრულა). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.

შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავოთ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შერავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

2.5 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ცალკეულ შემთვევაში ჯგუფს შეეცვალა თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 მიწის, შენობებისა და ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფი მიწის, შენობებისთვის და ბიოლოგიური აქტივებისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი რეალური ღირებულების შეფასებისთვის. რეალური ღირებულების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაშვებებთან.

3.5 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი

სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.6 დე-ფაქტო კონტროლის შეფასება

დე-ფაქტო კონტროლი არსებობს სიტუაციებში, როდესაც კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი წარმართოს ინვესტიციის შესაბამისი საქმიანობა ხმის მიცემის უფლების უმრავლესობის გარეშე. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა დე ფაქტო კონტროლი, კომპანია ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას. წარსული გამოცდილება და არსებული გარემოებები, რომელსაც ეფუძნება მსჯელობა დე-ფაქტო კონტროლის იდენტიფიცირებისას შესაძლებელია განსხვავდებოდეს მომავალში მოვლენათა ისეთი განვითარებისგან, რაც განაპირობებს დე-ფაქტო კონტროლის დაკარგვას.

ცხრილი გვიჩვენებს შვილობილ კომპანიებს, რომელზეც კომპანია ახორციელებს დე-ფაქტო კონტროლს.

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	საქმიანობის სფერო
შპს მილა საქართველო	50%	50%	ვაჭრობა
შპს კულინარი	50%	50%	სალათების წარმოება
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	უმრავი ქონება

ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი ცალმხრივად მართოს ზემოთ მოცემული კომპანიების მნიშვნელოვანი საქმიანობა და ისინი დააიდენტიფიცირა, როგორც შვილობილი კომპანიები. დე-ფაქტო კონტროლის იდენტიფიცირების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს წარსული გადაწყვეტილებების პრაქტიკა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და ობლიგაციებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სხვა ფინანსური აქტივები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სხვა ფინანსური აქტივები	-	96
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	24,724	14,335
ფული და ფულის ეკვივალენტები	39,804	20,462
სულ ფინანსური აქტივები	64,528	34,893

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	147,304	101,958
საიჯარო ვალდებულებები	114,446	107,564
სესხები და ობლიგაციები	125,659	133,955
სულ ფინანსური ვალდებულებები	387,409	343,477

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მომეღებულ იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას და განსაზღვრულია მესამე დონის

საფუძველზე. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით,

სხვა ფინანსური აქტივების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სხვა ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებიდან არსებითად არ განსხვავდება.

მიღებული სესხების და ობლიგაციების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 6 %-დან 14.5 %-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების და ობლიგაციების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7 %-დან 14 %-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებიდან არსებითად არ განსხვავდება.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. ჯგუფი ექვემდებარება აღებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 22.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2022		31.12.2021	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	96	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1	1	11	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,030	207	839	127
სულ	2,031	208	946	127
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,350	6,137	7,556	3,640
საიჯარო ვალდებულებები	98,968	298	94,716	519
სესხები და ობლიგაციები	12,656	10,821	15,379	13,602
სულ	118,974	17,256	117,651	17,761
წმინდა სავალუტო პოზიცია	(116,943)	(17,048)	(116,705)	(17,634)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძნობელობას.

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი + 20%
მოგება/(ზარალი) 2022	(23,389)	23,389	(3,409)	3,409
მოგება/(ზარალი) 2021	(23,341)	23,341	(3,527)	3,527

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონიერულობის ფარგლებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022		2021	
	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით
მოგება/(ზარალი)	(1,247)	1,247	(1,336)	1,336

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, სხვა ფინანსური აქტივებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებასა და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31.12.2022	31.12.2021
სხვა ფინანსური აქტივები	-	96
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,724	14,335
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	38,419	19,215
სულ	63,143	33,646

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	146,688	-	-	-	146,688
საიჯარო ვალდებულებები	19,004	15,523	94,627	11,379	140,533
სესხები და ობლიგაციები	33,502	8,242	112,291	3,806	157,841
სულ 31.12.2022	199,194	23,765	206,918	15,185	445,062
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	101,958	-	-	-	101,958
საიჯარო ვალდებულებები	14,916	14,469	90,329	9,843	129,557
სესხები და ობლიგაციები	47,467	35,476	73,057	1,718	157,718
სულ 31.12.2021	164,341	49,945	163,386	11,561	389,233

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ჯგუფი განმარტავს ინფორმაციას სეგმენტების შესახებ, რადგან ჯგუფს განათავსებული აქვს ობლიგაციები საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

პროდუქციისა და მომსახურების ტიპების აღწერა, საიდანაც თითოეული საანგარიშო სეგმენტი იღებს თავის შემოსავალს

ჯგუფს აქვს სამი სეგმენტი:

(ა) საცალო გაყიდვები - სეგმენტი მონაწილეობს საცალო გაყიდვების ბაზარზე და „ნიკორას“, „ლიბრეს“ და „ნუგემის“ ბრენდის მაღაზიათა ქსელის საშუალებით მომხმარებლებს სთავაზობს საკვები და არასაკვები პროდუქციის ფართო ასორტიმენტს. საცალო ვაჭრობა ჯგუფის ბიზნესის უდიდეს ნაწილს შეადგენს, რაც ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 88.23%-ს (2021 – 86.63%).

(ბ) წარმოება - სეგმენტი მონაწილეობს ხორცპროდუქტების, პურპროდუქტების, რმის პროდუქტის, ზღვის პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებაში. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება როგორც საკუთარი საცალო გაყიდვების ქსელის, ასევე გარე მომხმარებელზე საბითუმო რეალიზაციის საშუალებით. ჯგუფში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი აღნიშნულ სეგმენტს განიხილავს ჯგუფისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სეგმენტად და იმედოვნებს, რომ სეგმენტი მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის შიდა და გარე მომხმარებლების მომარაგებას საქართველოში წარმოებული პროდუქციით. საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 3.51%-ს (2021 – 3.82%).

გ) იმპორტი და დისტრიბუცია - სეგმენტის საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციის იმპორტი საქართველოში და დისტრიბუცია, როგორც ჯგუფის შიგნით ასევე გარე მომხმარებლებზე. სეგმენტი ახორციელებს საკვები პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის, საკვები, სასმელი და არასაკვები პროდუქციის იმპორტირებას და საბითუმო რეალიზაციას. ჯგუფში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი აღნიშნულ სეგმენტს განიხილავს ჯგუფისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სეგმენტად და იმედოვნებს, რომ სეგმენტი მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის შიდა და გარე მომხმარებლების მომარაგებას ნედლეულით და პროდუქციით. საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 8.05%-ს (2021 – 9.32%).

სხვა სეგმენტში შედის სოფლის მეურნეობის საქმიანობა და დეველოპერული საქმიანობა. სასოფლო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით ჯგუფი ფლობს თევზსაშენს და ახორციელებს კალმახის მიწოდებას როგორც ჯგუფის შიგნით, ასევე გარე მომხმარებლებზე. დამატებით, ჯგუფი ფლობს ვენახებს, რომლის საშუალებით მომხმარებელს აწვდის სოფლის მეურნეობის პროდუქტს ყურძნის სახით. დეველოპერული მიმართულება მოიცავს დაბა ბაკურიანში კომპლექსის მშენებლობას, რაც გამიზნულია საცხოვრებელი და კომერციული ფართების მიწოდებისთვის. სეგმენტის მთლიანი აქტივები მიღებული ამონაგები და საქმიანობის წმინდა შედეგი ჯგუფის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს და არ აკმაყოფილებს საანგარიშგებო სეგმენტის რაოდენობრივი ზღვრების კრიტერიუმებიდან არცერთს.

ფაქტორები, რომლებსაც ხელმძღვანელობა იყენებდა ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტების დასადგენად

ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტები წარმოადგენს სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც მოხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებას. მათი მართვა ცალკე ხდება, რადგან თითოეული ბიზნესის მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მარკეტინგულ სტრატეგიას.

ჯგუფი იყენებს რაოდენობრივი ზღვრების ტესტს საანგარიშგებო სეგმენტის იდენტიფიცირებისთვის. ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული თითოეული საანგარიშგებო სეგმენტი ფლობს სეგმენტების გაერთიანებული აქტივების, ამონაგების ან საქმიანობის წმინდა შედეგის 10%-ზე მეტს.

ხელმძღვანელობა ახორციელებს სეგმენტების აგრეგირებას, რომელთაც მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ და ეს სეგმენტები მსგავსია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტის მიხედვით:

- ა) პროდუქციისა და მომსახურების ხასიათი;
- ბ) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი ბ) საწარმოო პროცესების ხასიათი;
- გ) პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლების ტიპი ან კატეგორია;
- დ) პროდუქციის განაწილების ან მომსახურების გასაწევად გამოყენებული მეთოდები;
- ე) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი.

ხელმძღვანელობამ განახორციელა შემდეგი სეგმენტების აგრეგირება:

- წარმოება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით საკვები პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებას;
- იმპორტი და დისტრიბუცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით პროდუქციის ფართო ასორტიმენტის შემოტანასა და საბითუმო მიწოდებას.

საოპერაციო სეგმენტების შესახებ ანგარიშგება ხორციელდება საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირისთვის მიწოდებული შიდა ანგარიშგების შესაბამისად. საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირს წარმოადგენს მშობელი საწარმოს გენერალური დირექტორი.

საოპერაციო სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასება

ჯგუფი აფასებს სეგმენტურ საქმიანობას ფასს-ის შესაბამისად გაანგარიშებული ოპერაციიდან მიღებული მოგების ან ზარალის საფუძველზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის ჯგუფი სეგმენტზე არ ანაწილებს მშობელი საწარმოს შემდეგ შემოსავლებს და ხარჯებს:

- სხვა არაგანმეორებითი შემოსავალი და ხარჯი;
- ჯგუფის გარე მხარისგან მიღებული ფინანსური შემოსავალი;
- წმინდა ფინანსური ხარჯები: ფინანსურ ხარჯებს გამოკლებული შიდაჯგუფური ფინანსური შემოსავალი;
- ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან;
- სხვა საერთო ხარჯი;
- მოგების გადასახადის ხარჯი.

ჯგუფის სეგმენტების აქტივები განლაგებულია საქართველოში. ამიტომ ჯგუფი არ გაშიფრავს ინფორმაციას აქტივების გეოგრაფიული განაწილების შესახებ. სეგმენტის აქტივები და ვალდებულებები გამორიცხავს სათაო ოფისის გარე ოპერაციებიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს. მშობელი საწარმოს ბალანსზე არსებული საინვესტიციო ქონება გადანაწილებულია იმ სეგმენტზე, რომელი სეგმენტი იყენებს აღნიშნულ ქონებას ჯგუფის დონეზე. სათაო საწარმოს ბალანსზე არსებული სასესხო ვალდებულებები და ობლიგაციები გადანაწილებულია სეგმენტზე ჯგუფის შიგნით მათზე გაცემული სესხების შესაბამისად.

სეგმენტის მოგების ან ზარალის, სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებები, საანგარიშგებო სეგმენტებს შორის შესრულებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი არ განსხვავდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკისგან.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების საქმიანობის შედეგებს და მათ შეჯერებას ჯგუფის მაჩვენებლებთან.

	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუ ცია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნე ბის გარეშე	ელიმინაცია	2022
ამონაგები	895,009	172,964	276,123	2,757	1,346,853	88	(334,212)	1,012,729
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(665,658)	(136,339)	(238,925)	(1,749)	(1,042,671)	-	332,382	(710,289)
საერთო მოგება	229,351	36,625	37,198	1,008	304,182	88	(1,830)	302,440
სხვა შემოსავალი	839	7	45	419	1,310	-	(308)	1,002
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(170,256)	(9,449)	(14,578)	-	(194,283)	-	5,701	(188,582)
ადმინისტრაციული ხარჯები	(16,161)	(10,711)	(6,692)	(616)	(34,180)	(6,187)	(1,943)	(42,310)
სხვა მოგება ნეტო	352	129	183	(157)	507	598	225	1,330
ფინანსური შემოსავალი	1,886	-	-	-	1,886	48	(370)	1,564
ფინანსური ხარჯები	(15,870)	(3,699)	(3,469)	(503)	(23,541)	(5,511)	4,440	(24,612)
მოგება საკუროსო სხვაობიდან ნეტო	14,264	1,877	1,405	524	18,070	1,323	-	19,393
მოგება დაბეგრამდე	44,405	14,779	14,092	675	73,951	(9,641)	5,915	70,225
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(1,243)	-	(1,243)
მიმდინარე წლის მოგება	44,405	14,779	14,092	676	73,951	(10,884)	5,915	68,982

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების საქმიანობის შედეგებს და მათ შეჯერებას ჯგუფის მაჩვენებლებთან.

	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუ ცია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნე ბის გარეშე	ელიმინაცია	2021
ამონაგები	650,551	149,669	197,461	2,911	1,000,592	14	(250,928)	749,678
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(480,133)	(124,160)	(174,466)	(2,220)	(780,979)	-	250,526	(530,453)
საერთო მოგება	170,418	25,509	22,995	691	219,613	14	(402)	219,225
სხვა შემოსავალი	738	13	45	348	1,144	-	(328)	816
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(130,522)	(7,821)	(9,893)	-	(148,236)	-	4,889	(143,347)
ადმინისტრაციული ხარჯები	(10,937)	(9,565)	(5,072)	(627)	(26,201)	(3,661)	(1,699)	(31,561)
სხვა მოგება ნეტო	(524)	418	34	(180)	(252)	(272)	694	170
ფინანსური შემოსავალი	231	-	-	-	231	10	-	241
ფინანსური ხარჯები	(16,132)	(3,809)	(2,849)	(460)	(23,250)	(4,726)	4,125	(23,851)
მოგება საკუროსო სხვაობიდან ნეტო	6,932	1,326	681	447	9,386	809	-	10,195
მოგება დაბეგრამდე	20,204	6,071	5,941	219	32,435	(7,826)	7,279	31,888
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(1,053)	-	(1,053)
მიმდინარე წლის მოგება	20,204	6,071	5,941	219	32,435	(8,879)	7,279	30,835

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის შიგნით სეგმენტების სხვა საოპერაციო სეგმენტებთან შესრულებული ოპერაციებიდან მიღებულ ამონაგებს;

გამყიდველი სეგმენტი	მყიდველი სეგმენტი				სულ 2022
	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუცია	სხვა	
საცალო რეალიზაცია	-	894	631	2	1,527
წარმოება	32,353	4,820	100,196	41	137,410
იმპორტი და დისტრიბუცია	117,508	41,205	35,844	13	194,570
სხვა	377	328	-		705
სულ	150,238	47,247	136,671	56	334,212

გამყიდველი სეგმენტი	მყიდველი სეგმენტი				სულ 2021
	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუცია	სხვა	
საცალო რეალიზაცია	-	896	225	2	1,123
წარმოება	33,194	9,394	78,419	44	121,051
იმპორტი და დისტრიბუცია	73,186	31,709	23,207	13	128,115
სხვა	411	202	-	26	639
სულ	106,791	42,201	101,851	85	250,928

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების მთლიან აქტივებს და ვალდებულებებს.

	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუცია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნების გარეშე	ელიმინაცია	2022
გრძელვადიანი აქტივები	271,246	46,987	5,258	14,521	338,012	7,997	(8,677)	337,332
მოკლევადიანი აქტივები	141,394	32,045	64,817	2,320	240,576	2,786	(41,905)	201,457
მთლიანი აქტივები	412,640	79,032	70,075	16,841	578,588	10,783	(50,582)	538,789
გრძელვადიანი ვალდებულებები	129,789	13,241	134	2,617	145,781	47,468	(7,898)	185,351
მოკლევადიანი ვალდებულებები	187,917	33,289	54,877	4,247	280,330	6,761	(63,606)	223,485
მთლიანი ვალდებულებები	317,706	46,530	55,011	6,864	426,111	54,229	(71,504)	408,836
წმინდა აქტივები	94,934	32,502	15,064	9,977	152,477	(43,446)	20,922	129,953

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების მთლიან აქტივებს და ვალდებულებებს.

	საცალო რეალიზაცია	წარმოება	იმპორტი და დისტრიბუცია	სხვა	სულ სეგმენტი	მიკუთვნების გარეშე	ელიმინაცია	2021
გრძელვადიანი აქტივები	230,528	39,430	4,430	11,134	285,522	7,805	(11,632)	281,695
მოკლევადიანი აქტივები	87,480	25,788	46,632	1,091	160,991	1,269	(28,882)	133,378
მთლიანი აქტივები	318,008	65,218	51,062	12,225	446,513	9,074	(40,514)	415,073
გრძელვადიანი ვალდებულებები	127,136	12,308	275	2,796	142,515	15,450	(10,873)	147,092
მოკლევადიანი ვალდებულებები	145,952	33,454	46,641	2,907	228,954	31,346	(51,123)	209,177
მთლიანი ვალდებულებები	273,088	45,762	46,916	5,703	371,469	46,796	(61,996)	356,269

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წმინდა აქტივები	44,920	19,456	4,146	6,522	75,044	(37,722)	21,482	58,804
-----------------	--------	--------	-------	-------	--------	----------	--------	--------

ჯგუფი ძირითად მომხმარებლებად განსაზღვრავს იმ მომხმარებლებს, რომელთაგან მიღებული ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში უდრის ან აღემატება ჯგუფის ამონაგების 10%-ს. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით ჯგუფს არ ჰყავს ძირითადი მომხმარებლები.

6. ამონაგები

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საკვები	555,742	465,378
არასაკვები	337,740	184,051
სულ საცალო	893,482	649,429
საკვები	118,539	99,381
არასაკვები	2	77
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	607	776
სხვა	99	15
სულ საბითუმო	119,247	100,249
სულ	1,012,729	749,678

ჯგუფის ამონაგები ფორმირდება მაღაზიებიდან პროდუქციის საცალო რეალიზების და წარმოება, იმპორტი დისტრიბუციიდან საბითუმო რეალიზაციის შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
გაყიდული პროდუქტი	(695,949)	(519,140)
დანაკლისი	(4,884)	(4,926)
ვადაგასული პროდუქტი	(9,106)	(5,898)
სხვა	(350)	(489)
სულ	(710,289)	(530,453)

8. სხვა შემოსავალი

	2022	2021
საიჯარო შემოსავალი	1,002	816
სულ	1,002	816

9. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი (განეტებულია COVID-19 პანდემიის გამო სახელმწიფოსგან მიღებულ შეღავათის სახით მოგებასთან) *	(88,538)	(63,131)
ცვეთა და ამორტიზაცია	(37,873)	(33,800)
კომუნალური ხარჯი	(23,327)	(19,899)
დისტრიბუცია	(10,557)	(6,913)
საბანკო ხარჯი	(6,288)	(4,412)
მარკეტინგის ხარჯი	(5,298)	(3,965)
იჯარა	(7,879)	(2,964)
რემონტი	(3,152)	(2,654)
სხვა	(5,670)	(5,609)
სულ	(188,582)	(143,347)

* COVID-19-ის გავრცელების გამო შექმნილი კრიზისის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირების შესახებ. ჯგუფმა მიიღო შეღავათი შემდეგი პრინციპით: დასაქმებულებისთვის, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 750 ლარს, საშემოსავლო გადასახადი სრულად, ხოლო 750-დან 1500 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ 750 ლარის ნაწილში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აღნიშნული სუბსიდიის ფარგლებში არ აქვს შეუსრულებელი ვალდებულებები, შესაბამისად სუბსიდიის თანხა 3,646 2021 წლისათვის სრულად აღიარებულია შემოსავლის სახით და განეტებულია გაყიდვების და მიწოდების ხელფასის ხარჯებში.

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი (განეტებულია COVID-19 პანდემიის გამო სახელმწიფოსგან მიღებულ შეღავათის სახით მოგებასთან 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის) *	(25,883)	(17,916)
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	(3,408)	(4,079)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,521)	(2,563)
საგადასახადო ხარჯი	(2,267)	(2,553)
საოფისე ხარჯი	(866)	(723)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	(784)	(636)
სხვა	(4,581)	(3,091)
სულ	(42,310)	(31,561)

* COVID-19-ის გავრცელების გამო შექმნილი კრიზისის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირების შესახებ. ჯგუფმა მიიღო შეღავათი შემდეგი პრინციპით: დასაქმებულებისთვის, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 750 ლარს, საშემოსავლო გადასახადი სრულად, ხოლო 750-დან 1500 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ 750 ლარის ნაწილში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აღნიშნული სუბსიდიის ფარგლებში არ აქვს შეუსრულებელი ვალდებულებები, შესაბამისად სუბსიდიის თანხა 267 2021 წლისათვის სრულად აღიარებულია შემოსავლის სახით და განეტებულია საერთო და ადმინისტრაციული ხელფასის ხარჯებში.

ჯგუფის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 150 ათას ლარს.

11. სხვა მოგება ნეტო

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის ხარჯები	(2,099)	(2,059)
ბიოლოგიური აქტივების შეფასებული ღირებულება	2,099	2,059
გრანტი	-	753
უიმედო ვალების და საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(50)	(451)
ვენახის მოვლა შენახვის ხარჯი	(261)	(315)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	671	(174)
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების შედეგი	(150)	-
სხვა შემოსავალი (ნეტო)	1,120	357
სულ	1,330	170

12. გუდვილი

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილი ერთეულებისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილ პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 51,560 ლარს (2021 – 51,560). 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის მომავალი ფულადი ნაკადები და შესაბამისი დაშვებები განსაზღვრა აშშ დოლარში. აქტივთა ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და მგრძნობელობის ანალიზი

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური საოპერაციო მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე სამომავლო პერიოდის პროგნოზებზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომა პროგნოზების გასაკეთებლად. აქტივთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები უკავშირდება: ა) საოპერაციო მარჟას; ბ) დისკონტის განაკვეთს და გ) ზრდის ტემპს. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დაშვებების მცირედი ცვლილება არსებით გავლენას ახდენს ანაზღაურებად ღირებულებაზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ ძირითად დაშვებებს, დაშვებების მიმართ სენსიტიურობის ანალიზს და მათ ისეთ ცვლილებას, რომელიც განაპირობებს ანაზღაურებადი ღირებულების ტოლობას საბალანსო ღირებულებასთან:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი დაშვებები	ა) +0.4% ბ) გ) +1%	ა) -0.4% ბ) გ) -1%	საბალანსო ღირებულება უტოლდება ანაზღაურებად ღირებულებას თუ
ა) საოპერაციო მარჟა 3.89%	19,985	(19,985)	მცირდება 3.89%-დან 3.05%-მდე
ბ) დისკონტის განაკვეთი 13.68%	(9,850)	8,830	იზრდება 13.68%-დან 14.9%-მდე
გ) ზრდის ტემპი 4.2%	6,743	(5,743)	მცირდება 4.2 %-დან (0,5)%-მდე

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი დაშვებები	ა) +0.4%	ა) -0.4%	საბალანსო ანაზღაურებად	დირეზულეზა	უტოლდება დირეზულეზას თუ
	ბ) გ) +1%	ბ) გ) -1%			
ა) საოპერაციო მარჟა	3.99%	19,185	(19,185)	მცირდება 2.99%-დან 2.89%-მდე	
ბ) დისკონტის განაკვეთი	12.78%	(9,250)	9,530	იზრდება 11.78%-დან 12.5%-მდე	
გ) ზრდის ტემპი	3.2%	6,343	(5,582)	მცირდება 2.2%-დან 0.87%-მდე	

ა) საოპერაციო მარჟა - ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების მარჟას, რომელიც გათვალისწინებულია ფორმალურ ბიუჯეტში. ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელია ეფექტურობის გაუმჯობესება და დაგეგმილი საოპერაციო მარჟა განსხვავდება ჯგუფის 2022 და 2021 წლის ფაქტიური მარჟიდან 3.2 % და 2.7%.

ბ) ზრდის განაკვეთი - ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდის განაკვეთს პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. ხელმძღვანელობა გრძელვადიანი ზრდის ტემპის შეფასებისთვის იყენებს დოლარის გრძელვადიან ინფლაციის მაჩვენებელს.

გ) დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC), რომელიც ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკების შესაბამის კორექტირებებს.

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან გარკვეულ კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება გადაფასება	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ავიჯი, საოფისე და სხვა აღჭურვი ლობა	ქონების გაუმჯობესე ბა	ტრანსპორ ტი	მრავალწლ იანი ნარგავები	მიმდინარე მშენებლობ ა	სულ
1.1.2021	16,576	48,209	79,482	28,500	19,944	9,112	761	1,056	203,640
საწყისი ნაშთის რეკლასი	-	540	(20)	329	34	(100)	273	(1,056)	-
შემოსვლა	66	209	13,866	5,505	4,350	1,932	94	2,937	28,959
შიდა მოძრაობა/რეკლას	-	200	1,868	(1,673)	-	(23)	-	(372)	-
იფიკაცია									
გასვლა	(35)	(688)	(2,253)	(542)	(684)	(371)	-	(1)	(4,574)
გადაფასება	89	(2,109)	-	-	-	-	(623)	-	(2,643)
31.12.2021	16,696	46,361	92,943	32,119	23,644	10,550	505	2,564	225,382
შემოსვლა	9,400	4,204	20,809	11,210	5,391	2,677	3	3,707	57,401
შიდა მოძრაობა/რეკლას	-	161	(33)	(46)	(5)	-	-	(77)	-
იფიკაცია									
გასვლა	(344)	(3,893)	(6,008)	(569)	(126)	(554)	-	(4)	(11,498)
გადაფასება	1,451	(1,797)	-	-	-	-	(23)	-	(369)
31.12.2022	27,203	45,036	107,711	42,714	28,904	12,673	485	6,190	270,916
დაგროვილი ცვეთა									
01.01.2021	-	-	(44,238)	(16,437)	(7,805)	(5,012)	-	-	(73,492)
საწყისი ნაშთის რეკლასი	-	-	611	(622)	(40)	51	-	-	-
წლის ცვეთა	-	(1,161)	(10,549)	(4,119)	(2,975)	(1,167)	(51)	-	(20,022)
რეკლასი	-	-	(709)	709	-	-	-	-	-
გასვლა	-	17	1,714	443	385	294	-	-	2,853
გადაფასება	-	1,144	-	-	-	-	51	-	1,195
31.12.2021	-	-	(53,171)	(20,026)	(10,435)	(5,834)	-	-	(89,466)
წლის ცვეთა	-	(1,086)	(12,572)	(5,348)	(3,245)	(1,441)	(25)	-	(23,717)
რეკლასი	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	85	5,641	511	96	502	-	-	6,835
გადაფასება	-	1,001	-	-	-	-	25	-	1,026
31.12.2022	-	-	(60,102)	(24,863)	(13,584)	(6,773)	-	-	(105,322)
საბალანსო ღირებულება									
01.01.2021	16,576	48,209	35,244	12,063	12,139	4,100	761	1,056	130,148
31.12.2021	16,696	46,361	39,772	12,093	13,209	4,716	505	2,564	135,916
31.12.2022	27,203	45,036	47,609	17,851	15,320	5,900	485	6,190	165,594

2021 წელს მიწის დამატების თანხიდან 2,537 ლარი წარმოადგენს სახელმწიფოსაგან შემდგომი საინვესტიციო ვალდებულების პირობით უსასყიდლოდ გადმოცემულ აქტივთან დაკავშირებულ გადავადებულ საგრანტო შემოსავალს. აქტივის გადმოცემა მოხდა 2021 წლის დეკემბერში საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვრება 14,485 ათასი ლარის ოდენობით 2022-2023 წლების განმავლობაში. გადავადებული შემოსავალი და აქტივი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო

სს“ნიკორა”-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალდებულების შესრულება არ დასრულებულა.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობები, მიწები, მანქანა დანადგარები, ტრანსპორტი, საოფისე აღჭურვილობა სრულად წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ჯგუფი მიწები და შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შენობებს და მიწებს ჯგუფი იყენებს საოპერაციო საქმიანობისთვის.

ხელმძღვანელობის შეფასებით 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შენობებისა და მიწების უდიდესი ნაწილი მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო არ არის სპეციფიკური და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არსებობს აქტიური ბაზარი, შესაბამისად რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მდგომარეობის პრინციპებზე დაყრდნობით. მიწების შეფასების შემთხვევაში გამოყენებული იყო საბაზრო ოპერაციები. რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 2 დონე. ცალკეული შენობებისთვის, რომელიც დანიშნულების, მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო სპეციფიკურია და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი, რეალური ღირებულების განსაზღვრისას ვერ ხდება რწმუნების მოპოვება საბაზრო მდგომარეობის პრინციპებზე დაყრდნობით. შედეგად, შენობების რეალური ღირებულება განისაზღვრა დანახარჯების მეთოდით მათი მათ შორის ეკონომიური ცვლის გათვალისწინებით (მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით გაუფასურება). ასეთ შემთხვევაში ვინაიდან გამოყენებული იყო მინიმუმ ერთი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემი, შესაბამისად რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 3 დონე.

პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან.

გამოყენებული მეთოდი (2022 წლის 31 დეკემბრისათვის)	რეალური ღირებულების დონე	მიწა	შენობები	სულ
საბაზრო მეთოდი	დონე 2	26,948	41,849	68,797
დანახარჯების მეთოდი	დონე 3	254	3,187	3,441
სულ		27,202	45,036	72,238

გამოყენებული მეთოდი (2021 წლის 31 დეკემბრისათვის)	რეალური ღირებულების დონე	მიწა	შენობები	სულ
საბაზრო მეთოდი	დონე 2	16,396	43,378	59,774
დანახარჯების მეთოდი	დონე 3	282	3,177	3,459
სულ		16,678	46,555	63,233

გადაფასებული ქონება რომ შეფასებულიყო ისტორიული ღირებულების საფუძველზე, მათი წმინდა საბალანსო ღირებულება იქნებოდა მიწა 18,624 ათასი და შენობა 31,352 ათასი ლარი (2021 მიწა 9,394 ათასი და შენობა 29,201 ათასი ლარი).

ვენახები - შეფასებულია რეალური ღირებულებით 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ვენახებს ჯგუფი იყენებს სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზებისთვის. შეფასებისთვის გამოყენებულია დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები. ვენახების რეალური ღირებულება განსაზღვრულია, როგორც დონე 2. რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები ემყარება ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს და წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას. პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში არანაირი ცვლილება არ მომხდარა. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან. ვენახების შეფასებულმა ღირებულებამ შეადგინა 286 ათასი ლარი (2021: 295 ათასი ლარი). საანგარიშგებო პერიოდში 2022 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახით ჯგუფმა მიიღო 95 ტონა - 110 ათასი ლარის ოდენობით მოსავალი, ხოლო 2021 არ მიუღია.

14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი მაღაზიების და სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-12 წლამდე პერიოდს. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იმ ფართების შემთხვევაში, რომელიც ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია და მოქმედებს წარსული გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფი იჯარის ვადას გადახდევს ყოველი პერიოდის ბოლოს და მსჯელობის საფუძველზე აფასებს იჯარის დარჩენილ ვადას. იჯარის გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ჯგუფს არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 11.21 % - 14.00 % ლარში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხოლო დოლარის ხელშეკრულებების შემთხვევაში 7.00% - 8.25%.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვარი	95,402	103,835
შემოსვლა	32,855	18,444
ცვეთა	(20,854)	(18,575)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	11,017	(7,431)
შეწყვეტა	(224)	(871)
31 დეკემბერი	118,196	95,402

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვარი	107,564	126,929
შემოსვლა	32,855	18,444
საპროცენტო ხარჯი	9,221	9,625
გადახდა	(32,317)	(32,777)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(13,607)	(6,114)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	11,017	(7,431)
შეწყვეტა	(287)	(1,112)
31 დეკემბერი	114,446	107,564

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამები	პროგრამები დანერგვის ეტაპზე	უფლებები და სხვა	სულ
01.01.2021	3,698	1,262	1,220	6,180
შემოსვლა	399	1,318	247	1,964
გასვლა	(1)	-	(35)	(36)
31.12.2021	4,096	2,580	1,432	8,108
შემოსვლა	333	1,841	28	2,202
31.12.2022	4,429	4,421	1,460	10,310

დაგროვილი ამორტიზაცია

01.01.2021	(1,909)	-	(791)	(2,700)
შემოსვლა	(461)	-	(199)	(660)
გასვლა	1	-	17	18
31.12.2021	(2,369)	-	(973)	(3,342)
შემოსვლა	(466)	-	(162)	(628)
31.12.2022	(2,835)	-	(1,135)	(3,970)

საბალანსო ღირებულება

01.01.2021	1,789	1,262	429	3,480
31.12.2021	1,727	2,580	459	4,766
31.12.2022	1,594	4,421	325	6,340

16. ბიოლოგიური აქტივები

გადაფასებული/საბალანსო ღირებულება	თევზი
01.01.2021	839
ბიოლოგიური ტრანსფორმაცია	2,059
მოხმარების შედეგად მიღებულ შემცირება	(2,128)
31.12.2021	770
ბიოლოგიური ტრანსფორმაცია	2,099
მოხმარების შედეგად მიღებულ შემცირება	(1,748)
31.12.2022	1,121

წმინდა საბალანსო ღირებულება

01.01.2021	839
31.12.2021	770
31.12.2022	1,121

თევზი - ჯგუფი ფლობს საკალმახეს, რისი საშუალებითაც ახორციელებს კალმახის მოშენებას და მიწოდებას ბაზრისთვის. თევზი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებულია დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები. გაყიდვის დანახარჯების განსაზღვრისთვის ჯგუფი იყენებს ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს. აღნიშნული აქტივები წარმოადგენს მოხმარებისათვის განკუთვნილ ბიოლოგიურ აქტივებს, რაც გულისხმობს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფად უნდა იქნეს მიღებული. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თევზის მარაგის შეფასებული სიდიდე შეადგენს 120 ტონას. (2021: 64 ტონა). თევზის წარმოების ციკლი მერყეობს ნოლიდან 2 წლამდე პერიოდში.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად აღიარა შემოსავალი 2,099 ათასი ლარი (2021: 2,059 ათასი), რომელიც წარდგენილია სხვა შემოსავლის მუხლში. მოხმარების შედეგად მიღებული შემცირება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფად მიღებულ სიდიდეს.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

17. მარაგები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	111,546	73,127
დაუმთავრებელი წარმოება	1,540	1,501
ნედლეული და სხვა მარაგები	15,729	13,485
სულ	128,815	88,113

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	25,010	14,892
გაუფასურების რეზერვი	(286)	(557)
წმინდა ფინანსური აქტივები	24,724	14,335
გაუფასურების რეზერვი ავანსებზე	(42)	(97)
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,726	838
სხვა მოთხოვნები და ავანსები	6,430	9,631
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32,838	24,707

ცხრილი გვიჩვენებს გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	(557)	(754)
მიმდინარე პერიოდის ბოლოს გადაანგარიშება	(10)	(352)
აღდგენა	281	549
31 დეკემბრის მიხედვით	(286)	(557)

ცხრილი გვიჩვენებს ავანსების გაუფასურების რეზერვი მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	(97)	-
მიმდინარე პერიოდის ბოლოს გადაანგარიშება	(42)	(97)
აღდგენა	97	-
31 დეკემბრის მიხედვით	(42)	(97)

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობისა და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები სრულად წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

19. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	36,182	18,248
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	2,237	967
ნაღდი ფული	1,385	1,247
სულ	39,804	20,462

20. სააქციო კაპიტალი

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ინფორმაციას კომპანიის ჩვეულებრივი აქციების შესახებ.

	ხმის უფლება		რაოდენობა ცალობით /ღირებულება ლარებში	
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2022	31.12.2021
სუხიაშვილი ვასილ	25%	32%	1,489	1,876
გუბანოვი ოლეგ	17%	18%	1,035	1,035
დუმბაძე დავით	11%	12%	680	696
ტარადინი ვასილ	9%	11%	518	647
ცირეკიძე თალიკო	10%	10%	582	582
სალუქვაძე მაკა	7%	8%	389	405
ცერცვაძე გურამ	5%	6%	324	324
ნიკოლაიშვილი ირაკლი	3%	3%	178	178
სუხიაშვილი ნიკა	3%	-	194	-
სუხიაშვილი სოფო	3%	-	194	-
ტარადინი გლეზ	2%	-	129	-
ტარადინი დემენტი	2%	-	129	-
ტარადინი დენის	2%	-	129	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	501	728
სულ	100%	100%	6,471	6,471

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ინფორმაციას კომპანიის პრივილეგირებული აქციების შესახებ.

	რაოდენობა		ღირებულება	
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2022	31.12.2021
ანდრეი ისაევი	78	78	12,248	12,248
Pelicans venture corp	20	20	2,692	2,692
სს გალთ ენდ თაგარტი (ნომინალური მფლობელი)	6	12	734	1,468
მაზიაშვილი არჩილ	6	6	498	498
ფიჩხაია თამარ	4	4	485	485
ვაჩნაძე გიორგი	3	3	263	263
ცერცვაძე გურამ	2	2	225	225
ცერცვაძე ეკა	-	2	-	225
ნოვიკოვი ვოლოდიმერ	1	2	140	279
ამბროლაძე მურმან	1	2	83	166
ჯანჯღავა ივანე	1	1	83	83
ჯანგიძე თამარი	1	1	164	164
ნარეშელაშვილი ირაკლი	1	1	117	117
კიკნაძე ნოდარი	1	1	125	125
გვაზავა ოთარი	1	1	120	120
ნიჟარაძე ტარას	10	-	1,430	-
ტიხონოვა დარია	1	-	139	-
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	23	24	-	-
სულ	160	160	19,546	19,158

სს “ნიკორას”, სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (2021: 6,471 ათასი) ჩვეულებრივ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 145 და 151 ცალი შესაბამისად) პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. განთავსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები სრულად ანაზღაურებულია.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

2021 წელს ერთი ოპერაციის ფარგლებში სს ნიკორას საკუთრებაში არსებული საკუთარი 78 პრივილეგირებული აქცია გაიყვალა 402,667 ცალი სს ნიკორა ტრეიდის ჩვეულებრივ აქციაში ამ აქციის ფლობელ ფიზიკურ პირთან. პრივილეგირებული აქციები შეფასებული იქნა 3,900 ათას დოლარად ხოლო სს ნიკორა ტრეიდის აქციები 3,920 ათას აშშ დოლარად. პრივილეგირებული აქციების სხვაობის თანხა დაფარული იქნა სს ნიკორას მიერ ფულადი გადარიცხვის გზით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას გამოსყიდული ქონდა 501 ათასი (2021: 728 ათასი) საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 501 ათასი ლარი (2021: 728 ათასი). საკუთარი აქციების გამოსყიდვის/ხელახალი გაყიდვის დროს გადახდილ/მიღებულ თანხასა და ნომინალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხა იმ პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გამოსყიდეს/გაყიდეს აქციები.

კომპანიამ თავის ერთ-ერთ დამფუძნებელთა 2022 წლის ოქტომბერში გააფორმა ხელშერკულება 64,706 სახაზინო აქციის მიყიდვაზე 1,430,000 აშშ დოლარად. ხელშერკულების პირობებით მიხედვით აქციების გადაცემა მყიდველისათვის და შესაბამისი რეესტრში ასახვა მოხდება თანხის ანაზღაურებიდან 7 კალენდარულ დღეში. თავდაპირველი ანგარიშწორების თარიღად დაფიქსირებული იყო 2022 წლის 31 დეკემბერი, შემდგომში თარიღი შეიცვალა და გადაიწია 2023 წლის 30 სექტემბრამდე. ამ ოპერაციის ფარგლებში მყიდველის მიერ ანაზღაურებული თანხის ნაწილი 270 ათასი ლარი ასახულია კომპანიის ვალდებულებაში.

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. არამაკონტროლებელი წილი

ცხრილი გვიჩვენებს არამაკონტროლებელ წილებს შვილობილ კომპანიაში.

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	საქმიანობის სფერო
სს ნიკორა ტრეიდი	3%	5.3%	საცალო გაყიდვა
შპს მილა საქართველო	50%	50%	ვაჭრობა
შპს კულინარი	50%	50%	სალათების წარმოება
შპს ვაკიჯერის კალმახი	6%	9%	კალმახის ფერმა
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	უძრავი ქონება
შპს ლაზი-ჰოლდინგი	33%	33%	უმოქმედო
შპს რეფ ენ	37%		უძრავი ქონება

ცხრილი გვიჩვენებს არამაკონტროლებელი წილის მატარებელ შვილობილ კომპანიებში აქტივების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას.

	სს ნიკორა ტრეიდი		სხვა შვილობილები	
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
გუდვილი	38,560	38,560	-	-
ძირითადი საშუალებები	72,199	59,051	11,134	8,698
აქტივების გამოყენების უფლება	124,411	103,755	490	623
არამატერიალური აქტივები	5,699	3,942	15	19
ბიოლოგიური აქტივები	-	-	1,121	770
სხვა გრძელვადიანი აქტივები	601	-	-	-
მარაგები	99,183	65,124	721	621
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,093	3,356	2,227	652
გაცემული სესხები	305	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	35,474	18,651	138	54
სულ აქტივები	382,525	292,439	15,846	11,437
ვალდებულებები				
ობლიგაციები და სესხები	39,682	50,453	5,912	5,905
საიჯარო ვალდებულებები	122,228	117,590	537	658
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	155,458	104,697	2,644	1,276
სულ ვალდებულებები	317,368	272,740	9,093	7,839
მიკუთვნილი არამაკონტროლებელ წილს	2,108	1,072	1,686	647

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცხრილი გვიჩვენებს არამაკონტროლებელი წილის მატარებელი შვილობილი კომპანიების შემავსებელ ფინანსურ ინფორმაციას.

	სს ნიკორა ტრეიდი		სხვა შვილობილები	
	2022	2021	2022	2021
ამონაგები	895,009	650,551	5,819	6,585
გაყიდული პროდუქტის თვითღირებულება	(665,658)	(480,133)	(4,253)	(5,455)
საერთო მოგება	229,351	170,418	1,566	1,130
სხვა შემოსავალი	839	738	419	348
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(170,256)	(130,522)	(121)	(379)
ადმინისტრაციული ხარჯები	(16,161)	(10,937)	(907)	(1,344)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	352	(524)	(38)	76
ფინანსური შემოსავალი	1,886	231	-	-
ფინანსური ხარჯები	(15,870)	(16,132)	(653)	(648)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან ნეტო	14,264	6,932	577	456
წლის მოგება/(ზარალი)	44,405	20,204	843	(361)
სხვა სრული შემოსავალი				
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების გადაფასებიდან	1,053	3	-	(646)
სრული მოგება/(ზარალი)	45,458	20,207	843	(1,007)
მოგება/(ზარალი) არამაკონტროლებელ წილს	1,815	1,634	233	(225)
სრული მოგება/(ზარალი) არამაკონტროლებელ წილს	1,847	1,634	242	(256)

ცხრილი გვიჩვენებს არამაკონტროლებელი წილის მატარებელი შვილობილი კომპანიების ინფორმაციას ფულადი ნაკადების შესახებ.

	სს ნიკორა ტრეიდი		სხვა შვილობილები	
	2022	2021	2022	2021
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	88,272	62,157	408	230
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(36,383)	(18,574)	(2,241)	(42)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(35,055)	(28,776)	1,931	(167)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	16,834	14,807	98	21

22. ობლიგაციები და სესხები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	24,384	26,370
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	753	241
ობლიგაციები	69,499	34,772
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	94,636	61,383
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	29,762	43,136
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	105	112
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	86	
ობლიგაციები	1,070	29,324
სესხების მიმდინარე ნაწილი	31,023	72,572
სულ სესხები	125,659	133,955

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბანკო სესხები არის 1- დან 10 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 11% და 10.5%) დამატებული 3.5-7%. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 5.2%-9.85% მცოცავი განაკვეთი მიბმული Euribor-ზე, დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6.64% - 11.86% მცოცავი განაკვეთი მიბმული აშშ დოლარის LIBOR-ზე. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს ლარებში ნომინირებულ სესხებს და მათი განაკვეთი არის 11%. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების და ობლიგაციების მოძრაობას 2022 და 2021 წლის განმავლობაში:

	2022	2021
1 იანვარი	133,955	122,897
სესხების აღება	326,651	260,009
ობლიგაციების გამოშვება	34,641	34,766
სესხების დაფარვა	(335,001)	(256,497)
აქციის ნასყიდობის თანხაში ურთიერთჩათვლილი სესხის თანხა	(1,433)	-
ობლიგაციების გადახდა	(28,000)	(25,000)
საპროცენტო ხარჯი (განტებულია 109 (139 2021 წლისათვის) ათასი ლარის ოდენობის სახელმწიფო დაფინანსებით)	15,354	13,751
პროცენტის დაფარვა	(15,921)	(13,249)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(4,587)	(2,722)
31 დეკემბერი	125,659	133,955

2018 წლის 6 აგვისტოს, ჯგუფმა გამოუშვა 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4% (საშუალოდ 12.5%). ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას. 2021 წელს ჯგუფმა აღნიშნული ობლიგაციით განსაზღვრული ვალდებულებები დაფარა.

2021 წლის 12 ნოემბერს, ჯგუფმა გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2024 წლის 12 ნოემბერი. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 11,1464 პროცენტი) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2019 წლის ოქტომბერში, კომპანიამ გამოუშვა 28 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს დამატებული 4% (საშუალოდ 12.5%). ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას. აღნიშნული ობლიგაცია დროულად დაფარულია 2022 წელს.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (საშუალოდ 28 ნოემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 11.1466%) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაციები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოეჩნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან

სს“ნიკორა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.

ქვემოთ მოცემულია ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს ნიკორა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

მომგებიანობიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ფულადი ნაკადებიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ვალდებულება EBITDA-სთან მაქსიმუმ (DEBT/EBITDA)	4.5 (4 ბანკის ხელშეკრულებით)

ერთ-ერთი ძირითადი ბანკის სესხის ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფს ნაკისრი აქვს ვალდებულება დაიცვას გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები, რომელიც გაიანგარიშება სპეციფიკური პრინციპით (ფასს-იდან განსხვავებული პრინციპით დაანგარიშებული მონაცემები) დაგენერირებული მონაცემებით ჯგუფის კონსოლიდირებულ და ნაწილობრივ კონსოლიდაციის დონეზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბანკის გაანგარიშებებით გადახვევა არ დაფიქსირებულა.

23. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფოსაგან შემდგომი საინვესტიციო ვალდებულების პირობით უსასყიდლოდ გადმოცემულ აქტივთან დაკავშირებულ გადავადებულ საგრანტო შემოსავალს. აქტივის გადმოცემა მოხდა 2021 წლის დეკემბერში საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვრება 14,485 ლარის ოდენობით 2022-2023 წლების განმავლობაში. გადავადებული შემოსავალი და აქტივი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. შეფასების და აქტივის დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 13 ში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულების შესრულების პროცესი არ დასრულებულა.

24. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	147,304	101,958
სულ ფინანსური ვალდებულებები	147,304	101,958
გადასახდელი ხელფასები	12,396	4,894
სახელშეკრულებო ვალდებულებები	2,618	2,519
საგადასახადო ვალდებულებები	3,524	2,377
მიღებული ავანსები	337	452
სხვა ვალდებულებები	15	13
სულ არაფინანსური ვალდებულებები	18,890	10,255
სულ ვალდებულებები	166,194	112,213

ცხრილი გვიჩვენებს სახელშეკრულებო ვალდებულების მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვარი	2,519	2,367
მიღებული ავანსი, რომლისთვისაც არ აღიარებულა შემოსავალი მიმდინარე პერიოდში	1,824	1,544
საკონტრაქტო ვალდებულების საწყისი ნაშთიდან აღიარებული შემოსავალი	(1,462)	(1,180)
დამატებითი ღირებულების გადასახდის ეფექტი	(263)	(212)
31 დეკემბერი	2,618	2,519

ჯგუფის ცალკეული მომწოდებლებზე რიცხული ვალდებულებების ნაწილი უზრუნველყოფილია 9,846 ათასი ლარის საბანკო გარანტიით.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	31.12.2022	31.12.2021
საიჯარო ვალდებულებები	7,088	2,554
ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შეადგენს	4,701	5,493
ხელფასები და ბონუსები ვალდებულება წლის ბოლოს	5,097	2,007
ძირითადი საშუალებების შეძენა	626	-
ფინანსური და სხვა სახის მომსახურების შეძენა	521	50
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	381	118
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	-
მიღებული სესხები	86	-
ამონაგები და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	-	382
მარაგებისა და ნედლეულის შეძენა	-	15
სხვა ფინანსური აქტივები	-	96

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული და არ არის განმარტებული.

26. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფი ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ქონდა ქვემოთ ჩამოთვლილ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

ჯგუფში შემავალმა ერთ-ერთმა კომპანიამ გააანაწილა დივიდენდი მათ შორის უმცირესობის წილის მფლობელ კომპანიაზე 86 ათასის დოლარით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 მაისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

28. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

28.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკუროსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

28.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგები მოიცავს შემდეგ სახეებს: საკუთარი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, პროდუქციის რეალიზაცია საცალო მაღაზიებში, სხვა მხარის მიერ წარმოებული პროდუქციის სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით რეალიზაცია. მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ პროდუქციის გაყიდვიდან და შესაბამისად ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ჯგუფი თავის შეთანხმებებში არის მარწმუნებელი. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით. საცალო რეალიზაციის შემთხვევაში მომხმარებლებს არ აქვთ უფლება უკან დააბრუნონ პროდუქცია, დანარჩენ შემთხვევებში უკან დაბრუნება პროდუქციის შესაძლებელია.

გარიგების ფასის განსაზღვრა

საცალო რეალიზაციის შემთხვევაში ჯგუფი ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად ხელმძღვანელობა არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ე.წ. “ბონუს ბარათებს”, რომელზეც თანხის დარიცხვა ხდება მომხმარებლის მიერ პროდუქციის შესყიდვის პროპორციულად. ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები ჯგუფისთვის წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ტრანზაქციის ფასს წარმოადგენს მომხმარებლისგან მიღებული ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელიც ნაწილდება შესყიდვის მომენტში შესასრულებელ და ბონუს ქულების საფუძველზე შესასრულებელ ვალდებულებებს შორის.

დანარჩენ შემთხვევებში ჯგუფის გარიგების ფასი მოიცავს ცვალებად ანაზღაურებას. ჯგუფი ცვალებად ანაზღაურებას აფასებს შემდეგი მეთოდებით:

ა) მოსალოდნელი ღირებულება არის ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ანაზღაურების მნიშვნელობების ალბათობებით შეწონილი სიდიდეების ჯამი. ანაზღაურების მოსალოდნელი ღირებულება შეიძლება იყოს ცვალებადი ანაზღაურების სათანადო შეფასება, როდესაც საწარმოს ანალოგიური მახასიათებლების მქონე მრავალი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული; ბ) ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულება - ეს არის ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე დიდი ალბათობის მოსალოდნელი სიდიდე (ანუ, ხელშეკრულების ერთადერთი, ყველაზე მეტად მოსალოდნელი შედეგი). ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ცვალებადი ანაზღაურების სათანადო შეფასება, როდესაც ხელშეკრულებას მხოლოდ ორი შესაძლო შედეგი გააჩნია (მაგალითად, საწარმო ან მიიღებს საქმიანობის შედეგზე დამოკიდებულ ბონუსს, ან არა).

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფი გარიგების ფასს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე ანაწილებს განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე, ჯგუფი ხელშეკრულების დაწყებისას განსაზღვრავს თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურების განცალკევებით გასაყიდი ფასს, რომელიც საფუძველად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და შემდეგ გარიგების ფასი ამ განცალკევებით გასაყიდი ფასების პროპორციულად ნაწილდება.

მომხმარებელთა წახალისების პროგრამის ფარგლებში მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულები აღირიცხება იმ ამონაგებისგან განცალკევებით, რომლის ფარგლებშიც გაიცა ბონუს ქულა. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება რეალიზაციის საწყის ეტაპზე ნაწილდება ბონუს ქულებსა და რეალიზაციის სხვა კომპონენტებს შორის. მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულების სახელშეკრულებო ღირებულება მათ განაღდებადღე აღიარდება, როგორც საკონტრაქტო ვალდებულება ვალდებულებების მუხლში, რომელიც ამონაგებში აღიარდება პროდუქციის მიწოდების პროპორციულად.

28.3 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

28.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო

ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

28.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

28.6 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც ხელმძღვანელობა ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება. გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების სანახავად იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 12.

28.7 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

	მომსახურების წელი
შენობები	5-70
მანქანა-დანადგარები	2-25
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-20
ავეჯი, ოფისის და სხვა აღჭურვილობა	1-20
ტრანსპორტი	2-10

ვენახები

ნაყოფის მომცემი კულტურა არის მცენარე, რომელიც (ა) გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად; (ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწეოს ნაყოფს; და (გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანამდევი გაყიდვების გარდა. გრძელვადიანი ნარგავები საწყისად არიარდება თვითღირებულებით და შემდეგ გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული გრძელვადიანი ნარგავების პოლიტიკა შეესაბამება გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების პოლიტიკას. გრძელვადიანი ნარგავები ცვდება 30 წლის მომსახურების ვადაზე.

28.8 ბიოლოგიური აქტივები

ჯგუფი ცხოველებს თევზების სახით. ჯგუფი ბიოლოგიური აქტივს აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) ჯგუფი აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად; ბ) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა ან ჯგუფიდან გასვლა; და გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

თევზები

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

28.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 1-50 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

28.10 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 1-10 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო

გადასახდებელი მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარის მიმართ გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

28.11 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება (გარდა გუდვილისა)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების

საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განსაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი

სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განსაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

28.12 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი

გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან და ვენახებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

28.13 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

28.14 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

28.15 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნესი მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი

აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით,

რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს და ბანკში არსებულ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

28.16 სააქციო კაპიტალი, სახაზინო აქციები და არამაკონტროლებელი წილი

სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფის მფლობელების მიერ. სააქციო კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, რომელსაც აქვს ხმის უფლება და არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს, რომელსაც არ აქვს ხმის უფლება. პრივილეგირებული აქციები აღირიცხება სააქციო კაპიტალში, როდესაც გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

აქციების გაყიდვით მიღებული ანაზღაურება ფასდება რეალური ღირებულებით. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება, ხოლო აქციების გამოსყიდვაში ნომინალურ ღირებულებაზე მეტი თანხის გადახდა აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება. ჯგუფი მფლობელებისგან გამოსყიდულ აქციებს, შემდგომი გაყიდვის მიზნებისთვის აღიარებს გამოსყიდული საკუთარი აქციების მუხლში. იმ შემთხვევაში თუ გამოსყიდვის შემდეგ ჯგუფი აუქმებს აქციებს, აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალის შემცირება.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოდგენილია კაპიტალის მუხლებში. ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, აისახება როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაციები.

28.17 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

სააქციო საზოგადოება ნიკორა



წლიური ანგარიში
მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორას“ 2022 წლის კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

სს ნიკორას წლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაზანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს

თავმჯდომარე

სს „ნიკორა“

სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა“

2023 წლის 15 მაისი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქციო საზოგადოება „ნიკორას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორას“ 2022 წლის კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მმართველობითი ანგარიშგებისაგან.

სს ნიკორას წლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაზანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიც შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე
სს „ნიკორა“

სს „ნიკორა“

ირაკლი გეგაძე

ფინანსური დირექტორი
სს „ნიკორა“

2023 წლის 15 მაისი

1.	საქმიანობის მიმოხილვა.....	59
1.1.	ნიკორას შესახებ მოკლედ.....	59
1.2.	კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია	60
1.3.	ბრენდების მიმოხილვა	63
1.4.	ჯილდოები	64
1.5.	საოპერაციო გარემოს მიმოხილვა	64
1.5.1.	ეკონომიკური გარემო და ბოლო პერიოდის განვითარება.....	64
1.5.2.	ძირითადი ბაზრები.....	65
1.5.3.	საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა	65
1.5.4.	კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა	66
1.6.	ბიზნესი და ოპერაციები	67
1.6.1.	ბიზნეს მოდელი	67
1.6.2.	ბოლო პერიოდის ბიზნეს განვითარება.....	68
1.6.3.	განვითარების სტრატეგია	69
1.7.	ფინანსური ინფორმაცია	71
1.7.1.	ფინანსური ანგარიშგებები.....	71
1.7.2.	კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	75
1.7.3.	კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	78
1.7.4.	ფინანსური რისკების მართვა	80
2.	კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	83
2.1.	მმართველობის ორგანოები	83
2.1.1.	პარტნიორთა საერთო კრება.....	83
2.1.2.	სამეთვალყურეო საბჭო.....	84
2.1.3.	საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	86
3.	არაფინანსური ანგარიშგება.....	87
3.1.	დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა	87
3.2.	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა.....	90
3.3.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	91
3.4.	„კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები	93

მართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. ნიკორას შესახებ მოკლედ

კომპანია "ნიკორა" 1998 წელს ქართული კაპიტალით დაფუძნდა როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია და უკვე 24 წელზე მეტია კვების პროდუქტების ბაზრის უცვლელი ლიდერია. განვითარებისა და სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების შედეგად, ამჟამად კომპანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლდინგს (ჯგუფს), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას და ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, აგრეთვე კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ/დისტრიბუტორ კომპანიებს.

მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის კვალობაზე „ნიკორა“ უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და ღირებული ბრენდი საქართველოში. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ბიზნეს მიმართულებებია: საცალო გაყიდვების სუპერმარკეტების ქსელი - რაოდენობის და ქვეყნის ტერიტორიაზე განშლადობის კუთხით ასევე ბაზრის ლიდერი და ხორცპროდუქტების წარმოება - ბაზრის უდავო ლიდერი საქართველოში.

ჰოლდინგი ნიკორა - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ლ)	2021	2022	ცვლ.(%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	749,678	1,012,729	35.1
საერთო მოგება	219,225	302,440	38.0
საოპერაციო მოგება	45,133	72,550	60.7
წლის მოგება	30,835	68,982	123.7
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	2021	2022	ცვლ.(%)
სულ აქტივები	415,073	538,789	29.8
სულ ვალდებულებები	356,269	408,836	14.8
სულ კაპიტალი	58,804	129,953	121.0
ფინანსური მაჩვენებლები	2021	2022	ცვლ.(%)
საერთო მოგების მარჟა (%)	29.2	29.9	2.4
სესხები/კაპიტალი	2.28	0.97	(57.6)
არაფინანსური მაჩვენებლები	2021	2022	ცვლ.(%)
დასაქმებულთა რაოდენობა	7,653	8,185	6.9
მალაზიების რაოდენობა	372	465	25.0
სავაჭრო ფართი (მ ²)	64,917	81,074	24.9

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

სს „ნიკორა“, როგორც ჰოლდინგი, ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საკვების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე. დაარსების პირველ წლებში, როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია, იგი მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ღორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი. 2001 წელს „ნიკორამ“ დააარსა სადისტრიბუციო ქსელი. შემდგომი წლების განმავლობაში კომპანია გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ საკვების ინდუსტრიაში. ამჟამად „ნიკორა ჯგუფი“ არის ₾1,013 მილიონიანი ბრუნვის მქონე ბიზნესი, რომელშიც 2022 წლის ბოლოსთვის დასაქმებულია 8,900-მდე თანამშრომელი და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანიის წარმოებული ხორცპროდუქტები 80-მდე სახეობას მოიცავს, მათ შორის ნედლად შებოლილი პროდუქცია, რომელთა წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ასევე აქტიური მონაწილენი არიან საქართველოს ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა თევზეულისა და ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, აგრეთვე სხვადასხვა საკვებისა და სასმელების იმპორტი-დისტრიბუცია.

1999 წელს ოპერაციების დაწყების შემდეგ „კომპანია“ სწრაფი ტემპით იზრდებოდა. „ნიკორა“ იყო პირველი ქართული მწარმოებელი, რომელმაც ნაწარმის გაყიდვა საკუთარ ქსელში დაიწყო 2000 წელს. 2001-2002 წლებში სწრაფმა ზრდამ საკუთარი სადისტრიბუციო ოპერაციების და სტაბილური მიწოდების ჯაჭვის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. ამის საპასუხოდ, „კომპანია“ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი შექმნა და დაიწყო ინვესტიციები გაყიდვების არეალის გაფართოებაში. მომდევნო წელს კომპანია რძის და ზღვის პროდუქტების ბაზარზე შევიდა. გურიის სოფელ ვაკიჯვარში შეიქმნა საკალმახე მეურნეობა. 2004 წელს „ნიკორა“ საკვები ნახევარფაბრიკატების ბაზარზე შევიდა და ნაყინის ბიზნესი წამოიწყო, ხოლო 2005 წლიდან დაიწყო საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტი. „ნიკორა“ ასევე გახდა ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია, რომელმაც მიიღო ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატები.


2008 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო, როცა მან მოახდინა რძის და ზღვის პროდუქციის წარმატებული რებრენდინგი („ჩვენი ფერმერი“ და „ოკეანე“) და გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი ცომეული და გამომცხვარი პროდუქციით.

მომდევნო წლებში „კომპანია“ ახდენდა არსებული ბიზნეს-პლატფორმის ოპტიმიზაციას, აფართოებდა საცალო ქსელს და აუმჯობესებდა ეფექტიანობას.


არსებობის განმავლობაში კომპანია აფართოებდა „ნიკორა ტრეიდის“ საცალო ვაჭრობის ქსელს. ეს ქსელი 2000 წელს გაჩნდა და თავდაპირველად თბილისში კომპანიის პროდუქციის გაყიდვით იყო დაკავებული. 2022 წლის ბოლოსთვის, ქსელში 465 მაღაზია შედის და 10,000-მდე სახეობის პროდუქცია იყიდება, მათ შორის, 500-ზე მეტი სახეობის პროდუქტი „ნიკორას“ წარმოებისაა.

ამჟამად მიმდინარეობს თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი ახალი ქარხნის მშენებლობა, რომელიც 2023 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

განვითარების ძირითადი ეპიზოდები



ნიკორა ჰოლდინგის სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



ზემოთ მოცემულია ჯგუფის მხოლოდ მოქმედი კომპანიები.

სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის რეალიზაციის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ მიმართულებად შეიძლება დაიყოს: ა) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით; ბ) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათების წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს კორიდა, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს კულინარი, შპს ვაკიჯვრის კალმახი, შპს ოკეანე; გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ შპს პარტნიორი და შპს კორიდა; დ) სასმელების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტიტრეიდი ახორციელებენ.

სს „ნიკორა ტრეიდი“ - ნიკორა ჯგუფში შემავალი ყველაზე მსხვილი სუბიექტია, რომელიც სუპერმარკეტების ქსელს ოპერირებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია 465 მაღაზიით იყო წარმოდგენილი საქართველოს ბაზარზე.

შპს „ნიკორა“ - კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 50-მდე სახეობის გაყინულ პროდუქტს. ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების კერძებს.

შპს „კორიდა“ - შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს (დასავლეთ საქართველოში).

„შპს „ინტრედი“ – კომპანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ტკბილეულის, ბაკალეას, ხორცპროდუქტების, ალკოჰოლური და გამაგრებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს. “ როგორცაა: „VitaGo“, „პფანერი“, „ნატურალისი“, „ენერგია“ „ალოე“, „ჯაფა“ ლუდები: Warsteiner, Grolsch, Pilsner Urquell, Bud, Bud light, Berliner, Zhigulevskoe, Zhigul, Molson Canadian, არყები: Хлебная, Parliament, Green Mark, Talka, Russian Standard. დაბალ ალკოჰოლური სასმელი Shake, The Good Cider of San Sebastian, სნეკები Master, Gusto, YAW, RiceUp ხორცპროდუქტები: Campofrio, Greisinger, Negron, Casaponsa, Tarczynski, ტკბილეული: Bahlsen, Kellogg's, Millano, Flis, ბაკალეა: Yonca, Rio Santo, Santa Sophia, Rollton, Oyakata, Uvelka, Sante, Dr. Benner და სხვა.

შპს „მულტიტრედი“ – კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე სარეალიზაციოდ, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „კორიდასთვის“.

შპს „მზარეული 1“ - პურ-ფუნთუშეულის და სხვა გამომცხვარი პროდუქციის წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.

შპს „ჩვენი ფერმერი“ - კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს, კარაქს, ყველს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე “დღის პროდუქტის” სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი - „პალომა“-ს სავაჭრო სახელით.

შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება სს „ნიკორა ტრედი“-ს სუპერმარკეტის ქსელში.

შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი შპს „აგია“) – არის საკალმახე მეურნეობა, წელიწადში 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, რომელიც აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანეს“ საფირმო სახელწოდებით.

შპს „ოკეანე“ – აწარმოებს ზღვის პროდუქტებს და პრესერვებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - ფლობს საკუთარ ვენახებს და მხოლოდ ყურძნის მოყვანითა და რეალიზაციითაა დაკავებული.

შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას შიდა და გარე ქსელში.


შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - დაბა ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების დეველოპმენტი.

შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.

შპს „რეფ ენი“ - უძრავი ქონება.

2022 წლის ბოლოსთვის „ნიკორა ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივები 538.8 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო კონსოლიდირებულმა შემოსავალმა 2022 წელს 1,012.7 მილიონ ლარს მიაღწია.

ქვემოთ მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ჯგუფში შემავალი კომპანიების შემოსავლების განაწილება (კომპანიათაშორის ტრანზაქციების ელიმინაციამდე):



1.3. ბრენდების მიმოხილვა

ბრენდ „ნიკორას“ განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კომპანიის გაფართოების სტრატეგიაში. ბრენდი განვითარებასთან ერთად მცირე ადგილობრივი მწარმოებლიდან გადაიქცა მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილ კომპანიად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ეკონომიკური რყევების მიუხედავად, „კომპანია“ თანმიმდევრულად ცდილობდა მოეპოვებინა აღიარება და ნდობა მაღალი სტანდარტების დაცვით. ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ წარმოებას, პროდუქციის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, მაღალ ხარისხს, ფართო არჩევანსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებებს. „ნიკორას“ სახელის წარმატება ყოველთვის ეფუძნებოდა მუდმივი განვითარების პროცესს.

წლების განმავლობაში „კომპანია“ დააგროვა დიდი ტექნიკური გამოცდილება და კვების ინდუსტრიაში ბევრი წამოწყების ინიციატორი გახდა. ინოვაციის საჭიროებიდან გამომდინარე, „ნიკორა“ ყოველთვის ისწრაფოდა ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებისკენ. „კომპანია“ პირველმა აწარმოა ბაზარზე ნედლად შებოლილი ძეხვეული და თევზეულის პრესერვები. აღნიშნული სახის პროდუქციის წარმოება დიდ გამოცდილებას და მაღალ ტექნოლოგიურ მხარდაჭერას მოითხოვს. „ნიკორა“ ასევე იყო მოწინავე ე. წ. დაცული შეფუთვის დანერგვის საკითხში. სწორედ მუდმივი ინოვაციებია კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ მომხმარებელს „ნიკორას“ ბრენდის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი აქვს.

ჰოლდინგში შემავალი კომპანიების პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



შპს ნიკორას მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: 40-ზე მეტი დასახელების მოხარშული და შებოლილი ძეხვეული, 20-მდე სახეობის სოსისები და სარდლები, შაშხი და 15-მდე სახეობის ნედლად შებოლილი ხორცპროდუქტი.



შპს ნიკორას მიერ წარმოებული პრემიუმ ხაზის ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.



შპს კორიდას მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.



შპს ნიკორას და შპს კორიდას მიერ წარმოებული ნახევარფაბრიკატები (ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციული კერძები - ხინკალი, პელმენი, ვარენიკი, ბლინები, კატლეტები და სხვა), აგრეთვე შპს ოკეანეს მიერ წარმოებული სოუსები.



შპს მზარეული 1-ის მიერ წარმოებული პურ-ფუნთუშეული და სხვადასხვა გამომცხვარი ნაწარმი.



შპს ოკეანეს მიერ წარმოებული თევზეულის და ზღვის სხვა პროდუქტები.

ასორტიმენტშია: ცოცხალი, შეციებული, ცივად და ცხლად შებოლილი, დამარილებული, ნაკლებმარილიანი, ნახევრად შებოლილი თევზეული, პრესერვები და ზღვის დელიკატესები. „კომპანიის“ კალმახის ხიზილალა განსაკუთრებით პოპულარულია ქართველ მომხმარებლებს შორის.



შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული რძის პროდუქტები: მაწონი, არაჟანი, ხაჭო, რამდენიმე სახეობის კარაქი და ყველი - როგორც ქართული, ასევე ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული.



შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული 20-მდე დასახელების ნაყინი, რომელიც 2005 წლიდან იწარმოება. ნაყინი კარაქსა და შესქელებულ რძეზე მზადდება და უდავოდ გამორჩეული გემოთი და რბილი კონსისტენციით ხასიათდება.



შპს კულინარის მიერ წარმოებული სალათები. ბრენდის ქვეშ 25 ტიპის სალატი, 18 სახეობის სხვა მზა კერძი და 5 სახეობის მწნილის სალათა იწარმოება.

გაყიდვები, სს ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტებში, შემდეგი სავაჭრო ნიშნის მქონე მარკეტებში ხორციელდება:



სუპერმარკეტები უმეტესად მორგებული საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებზე.



ე. წ. დისქაუნთერი მარკეტები.

1.4. **ჯილდოები**

კომპანიის 24 წლიანი ისტორიის განმავლობაში უამრავი ჯილდო აქვს მიღებული; თანმიმდევრულად მისდევს საკუთარ მიზნებს, განუხრელად იცავს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა მომხმარებლებზე ზრუნვა, ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, თანამშრომლებისათვის სტაბილური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ღირებულების შექმნაზე ორიენტირება.

ხარისხის მართვის, როგორც წარმოებაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, აგრეთვე გაყიდვებში და ზოგადად მენეჯმენტში, მაღალი სტანდარტების წლების განმავლობაში დაცვის შედეგად „ნიკორა“ არაერთხელ გახდა საქართველოს პრესტიჟული სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი:

- ❖ წლის ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია - 2003 წ.
- ❖ წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია (ნახევარფაბრიკატი საკვები) - 2004 წ.
- ❖ წლის რეპუტაცია და ნდობა - 2005 წ.
- ❖ ხარისხის მართვის ISO 9001 : 2015 და სურსათის უვნებლობის ISO 22000 : 2018 (HACCP) სისტემების დანერგვა - 2008 წ.
- ❖ ოქროს ბრენდი - 2005, 2009, 2015, 2016, 2017, 2018 წ.
- ❖ ლიდერი კომპანია - 2007, 2009, 2013, 2014 წ.
- ❖ წლის საუკეთესო კომპანია - 2013 წ.
- ❖ ეროვნული ბიზნეს ჯილდო - 2016 წ.
- ❖ დარგის ლიდერის ჯილდო (ხორცპროდუქტებისა და თევზეულის წარმოება) - 2015 წ, 2017 წ.

1.5. **საოპერაციო გარემოს მიმოხილვა**

1.5.1. **ეკონომიკური გარემო და ბოლო პერიოდის განვითარება**

საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2018 წელს 4.8% შეადგინა (მშპ - \$17.6 მილიარდი, \$4,722 ერთ სულ მოსახლეზე), 2019 წელს 5.0%-ს (მშპ - \$17.5 მილიარდი, \$4,696 ერთ სულ მოსახლეზე). პანდემიამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეალური მშპ წელიწადში საშუალოდ 3.5%-ით იზრდებოდა. 2020 წელს პანდემიის ფონზე ეკონომიკა შემცირდა - 6.8%-ით, 2021 წელს კი მშპ ზრდა 10.5%-ს შეადგენდა. 2022 წელს წინასწარი მონაცემებით საქართველოს ეკონომიკის ზრდამ 10.1% შეადგინა. 2022 წელს თიბისი კაპიტალის და გალტ & თაგარტის უკანასკნელი გათვლებით საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2023 წელს 5.6-5.8%-ის ფარგლებში არის მოსალოდნელი. ეროვნული ბანკის პროგნოზით 2023 წელს ეკონომიკური ზრდა 4%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

2003 წლიდან ქვეყნის სახელმწიფო ვალი დადებითად ვითარდებოდა და ვალის შეფარდება მთლიან ეკონომიკასთან მიმართებით მცირდებოდა. თუმცა, 2014 წლიდან მაჩვენებელი აღმავალი იყო და ის განსაკუთრებით გაიზარდა 2019 და 2020 წლის განმავლობაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებით, მთავრობის საგარეო ვალის შეფარდება მთლიან ეკონომიკასთან 31.6% შეადგინა 2018 წელს. 2019

წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 32.0%-ს მიაღწია. 2020 წელს მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, როდესაც 47.6%-ს გაუტოლდა, ხოლო 2021 წელს მაჩვენებელმა 39.9% შეადგინა. 2022 წელს წინასწარი მონაცემებით ნიშნული 29,8% გაუტოლდა.

ფასების სტაბილურობის მისაღწევად „სებ“-ი ინფლაციის ე.წ. თარგეთირების რეჟიმს მისდევს. „სებ“-ის ინფლაციის სამიზნე ნიშნული 3%-ს შეადგენს. 2019 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 4.9% შეადგინა, რაც აღემატებოდა „სებ“-ის სამიზნე ნიშნულს. წლიური ინფლაციის ზრდა გამოწვეული იყო საწვავის აქციის განაკვეთის ზრდის შედეგად გამოწვეული ფასების ერთჯერადი ეფექტით და მოსალოდნელი იყო მისი მიზნობრივ ნიშნულთან დაახლოება. თუმცა, 2020 და 2021 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის და პროდუქტებზე ფასების ზრდის შედეგად საშუალო წლიურმა ინფლაციამ 5.2% და 9.6% შეადგინა შესაბამისად. 2022 წელს ფასების დონის ზრდამ 11.9% შეადგინა.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს საქონლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 31.8%-ით გაიზარდა. ამასთან ევროკავშირში ექსპორტი გაზრდილია 20.3%-ით, დსთ-ს ქვეყნებში - 33.28%-ით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში - 35.4%-ით. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი 34.6%-ით გაიზარდა.

ტურიზმის სფერო ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამაზე მეტყველებს ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა წლების განმავლობაში. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2021 წელს წინა წელთან შედარებით 129.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2022 წელს 182.5%-ით გაიზარდა (2021-თან შედარებით). საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2020 წელს 16.6%-ით, 2021 წელს 38.1%-ით, ხოლო 2022 წელს 107.6%-ით აღდგა. გაზრდილია საერთაშორისო ტურისტების რაოდენობაც. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2022 წელს წინა წელთან შედარებით 2.98 მილიონით გაიზარდა და 4.7 მილიონი შეადგინა. ამასთან ევროპიდან ვიზიტების რაოდენობა მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 82.97%-ის ტოლი იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2022 წელს წინა წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 926 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 4.1% შეადგინა, რაც ისტორიული მინიმუმია. მკვეთრად გაიზარდა ქვეყანაში ხანგრძლივადიანი საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა და შესაბამისად, ფულადი გზავნილების მოცულობაც. 2022 წელს წინა წელთან შედარებით უცხოეთიდან ფულადი გზავნილები 86.1%-ით გაიზარდა. გაიზარდა საექსპორტო საქონელზე მოთხოვნაც. საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 35.8%-ით, ექსპორტი კი - 36.0%-ით.

2023 წლის 10 მაისს საქართველოს ეროვნულ ბანკმა 0.5 პუნქტით შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და 10.5% ნიშნულზე განსაზღვრა - შემცირებული ინფლაციისა და სამომავლო ინფლაციური მოლოდინების კლების კვალობაზე.

1.5.2. მირითადი ბაზრები

ნიკორა ჯგუფში შემავალი კომპანიები ჩართულნი არიან კვების პროდუქტების წარმოების, საცალო ვაჭრობის, იმპორტისა და დისტრიბუციის საქმიანობებში. საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება ჯგუფის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. შედეგად, საკვებით საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება „კომპანიისთვის“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო ბაზარს საქართველოში. თიბისი კაპიტალის FMCG მიმდინარე წლის მაისის კვლევის თანახმად 2022 წელს საქართველოში სწრაფად ბრუნვადი პროდუქტის ბაზარზე (FMCG) ორგანიზებული ბაზრის წილი 31%-ია, ხოლო 2023 წელს მოსალოდნელია ბაზრის ამ ნაწილის 16%, 10% და 9%-ით ზრდა. აღნიშნული მიუთითებს ორგანიზებული ქსელების ზრდის მაღალ პოტენციალზე. ნიკორა ჰოლდინგში შემავალი სს ნიკორა ტრეიდი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკავებს ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის ლიდერის პოზიციას.


1.5.3. საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა¹

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2022 წელს საცალო ვაჭრობის დონე² საქართველოში წინა წელთან შედარებით 4.48 მილიარდი ლარით გაიზარდა და 23.94 მილიარდი ლარი შეადგინა.

¹ პარაგრაფი მომზადებულია „საქსტატის“ მონაცემების გამოყენებით და განიხილავს საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობას

² საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობა ავტომობილებისა და მოტოციკლეტების გარდა

საცალო ვაჭრობის ბრუნვა:




წყარო: საქსტატი

1.5.4. კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა

საქართველოში მომხმარებელი განკარგავს შემოსავლის მესამედს სურსათსა და არა-ალკოჰოლურ სასმელოზე ხარჯავს. ეს მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდება - 2017 წლის 30.09%-დან 2023 წელს 33.73%-მდე გაიზარდა. მოკლე და საშუალო ვადაში ამ მიმართულებით ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია.

ორგანიზებული FMCG ბაზარი და მშპ ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნების მიხედვით:



წყარო: თიბისი კაპიტალი

განვითარებულ ქვეყნებში საკვებ პროდუქციაზე დანახარჯის წილი სამომხმარებლო კალათში შედარებით დაბალია. თუმცა, აბსოლუტურ მნიშვნელობაში დანახარჯები იზრდება ერთ მოსახლეზე მშპ-ს ზრდასთან ერთად.


ამასთან, აღსანიშნავია განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების საკვების საცალო ბაზრის კიდევ ერთი განსხვავება. ზოგადად განვითარებული ქვეყნის ბაზრებს ახასიათებთ მეტი კონსოლიდაცია. მაგალითისთვის, ინდოეთში არაორგანიზებული ბაზრის წილი 8%-ს აღწევს, ჩინეთში 20%-ს, არაორგანიზებული ბაზრის წილი მეტად იკლებს განვითარებულ ქვეყნებში. ორგანიზებული საცალო კვების ვაჭრობის ბაზრის წილი ამერიკაში, იაპონიასა და გაერთიანებულ სამეფოში შესაბამისად 85%, 89% და 92%-ია. ორგანიზებული ბაზრის წილი მზარდია საქართველოშიც და მაჩვენებელმა 2016 წლის 17%-დან 2022 წელს 31%-ს მიაღწია.

ძირითადი მოთამაშეები ორგანიზებული საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით:

თიბისი კაპიტალის FMCG სექტორის კვლევის თანახმად, 2022 წელს, როგორც 2021 წელს, სს „ნიკორა ტრეიდი“ საცალო ვაჭრობის ბაზარზე გაყიდვების მოცულობით ბაზრის ლიდერის პოზიციას იკავებს.

FMCG ბაზარი რამდენიმე მსხვილი მოთამაშით არის წარმოდგენილი და გარემო საკმაოდ მაღალი კონკურენციით ხასიათდება. 2022 წელს ბაზარზე ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ, თუმცა ბაზრის განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. თიბისი კაპიტალის მონაცემებით, სს ნიკორა ტრედი ბოლო სამი წლის განმავლობაში FMCG ბაზარზე გაყიდვების მოცულობით ბაზრის ლიდერის პოზიციას იკავებს.

ორგანიზებული ბაზრის განაწილება:



წყარო: თიბისი კაპიტალი

1.6. ბიზნესი და ოპერაციები

1.6.1. ბიზნეს მოდელი

ჰოლდინგში შემავალი, სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას ახდენენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ საცალო ვაჭრობის ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ პირობით კომპონენტად შეიძლება დაიყოს, რომელთა ერთობლიობითაც ქმნის ღირებულებას ნიკორა:



საცალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ კი ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებები ის ძირითადი ბირთვია, სადაც ნიკორა ჯგუფს მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიისთვის წარმოადგენს მოგების მთავარ წყაროს.

ხორცპროდუქტების და მათი ნახევარფაბრიკატების წარმოებაში ჩართული არიან შპს ნიკორა და შპს კორიდა, რომელთა პროდუქცია, აღნიშნული კომპანიების მრავალწლიანი სპეციალიზაციის შედეგად, სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. ნიკორას ხორცპროდუქტების, როგორც ბრენდის, პოპულარიზაციას და მიზიდველობას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნიკორას სუპერმარკეტების ფართო ქსელი. მეორეს მხრივ სავაჭრო ობიექტების სიმრავლე და აგრეთვე ფართო არეალი საშუალებას აძლევს წარმოების შვილობილ კომპანიებს მყისიერი რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრეფერენციების ცვლილებაზე; შედეგად მიიღწევა მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა და მაღალ დონეზე შენარჩუნება, როგორც პროდუქციის კუთხით, ასევე გაყიდვების სერვისის თვალსაზრისით.

ჰოლდინგში შემავალი კვების პროდუქტების სხვა მწარმოებელი კომპანიები (შპს ოკეანე, ჩვენი ფერმერი, მზარეული1, კულინარი, ვაკიჯვრის კალმახი) ერთის მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ, მაგრამ აგრეთვე ქმნიან ჰოლდინგის მდგრადობის და კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების დამატებით ბერკეტს - მცირდება რა დამოკიდებულება მომწოდებლებზე, ნიკორას სუპერმარკეტებისთვის და უფრო მეტიც, რაც შემთხვევებში ჩნდება ბერკეტი მინიმალური ფასების მიღებისთვის მომწოდებლებისგან, რაც შემდგომში გაყიდვების ზრდის უმთავრეს წინაპირობას ქმნის - შევთავაზოთ მომხმარებლებს მაღალი სარგებელი/ღირებულების (benefit/value) პროდუქცია.

ჰოლდინგი ანალოგიური ბიზნეს მოდელით ახდენს სასმელების (გამაგრებელი და ალკოჰოლური) და სხვადასხვა საქონლის იმპორტს, რაც შვილობილი კომპანია შპს ინტრეიდის მეშვეობით ხორციელდება. საკუთარი გაყიდვის ობიექტების რიცხოვნობის და ფართო არეალის საფუძველზე (და აგრეთვე მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანიების შესაძლებლობების გათვალისწინებით) მიღწეულ იქნა ის მასშტაბი იმპორტისთვის, რამაც საშუალება მისცა კომპანიას სასმელების სეგმენტშიც მიეღო დაბალი ფასები მომწოდებლებისგან და აგრეთვე ექსკლუზიური იმპორტიორი გამხდარიყო რიგი პროდუქციის სახეობებისა საქართველოში.

ხორცპროდუქტების წარმოებისთვის კომპანია თავად ახდენს საჭირო ნედლეულის იმპორტს შპს მულტიტრეიდის მეშვეობით - ხორცპროდუქტების წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე მიიღწევა დაბალი ფასები ნედლეულის იმპორტისთვის.


მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანია - შპს პარტნიორი - ახორციელებს სხვა შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციას გარე სავაჭრო ობიექტებში. (გამონაკლისია შპს კორიდა, ოკეანე, ვაკიჯვრის კალმახი და ჩვენი ფერმერი, რომლებიც პროდუქციის გარე ქსელებში დისტრიბუციას თავად ახდენენ).

1.6.2. ბოლო პერიოდის ბიზნეს განვითარება

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა მოხმარების დონის ზრდას ქვეყანაში. მომხმარებლები საცალო ვაჭრობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვდნენ და შედეგად გაჩნდა ინდუსტრიის კონსოლიდაციის საჭიროება. აქციონერთა მხარდაჭერით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა. მაღაზიების ქსელი აგრესიულად გაიზარდა როგორც ორგანული ზრდის, ასევე შესყიდვების მეშვეობით.

2015 წლის აგვისტოში, „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ „ნუგეშის“ ქსელის შეძენის შემდეგ, „კომპანია“ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი გახდა. 2022 წლის ბოლოსთვის სს ნიკორეტრეიდს 7,000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა და ორგანიზებული საცალო ქსელის ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია.

ნიკორას ტრეიდის სავაჭრო ობიექტების რაოდენობა:



ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე

საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის ნაწილი ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

კომპანიას 100-ზე მეტი სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა „კომპანიამ“ საუკეთესო საბაზრო ფასს მიაღწიოს.

1.6.3. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში ჰოლდინგი ნიკორა უმთავრესად მისი შვილობილი კომპანიის სს „ნიკორა ტრეიდის“ გაყიდვების ქსელის გაფართოების, დახვეწის და ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით გეგმავს განვითარებას.

დღეისთვის ნიკორა ტრეიდი წარმოადგენს დარგის ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობის და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად ნიკორა ტრეიდს მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით კომპანია მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით, კომპანიას, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს.

2022 წელს ნიკორა ტრეიდმა 100 ახალი მაღაზია გახსნა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

გარდა ამისა კომპანია გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

- ლოჯისტიკა – ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია გეგმავს ამ მაჩვენებლის გაზრდას და მომავალში ცენტრალიზებული წესით მეტი პროდუქციის შესყიდვას, რაც კომპანიას მისცემს კომერციული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას. ცენტრალიზებული შესყიდვების წილის უფრო მეტად გასაზრდელად კომპანია გეგმავს ახალი ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობას. ასევე კომპანია გეგმავს მაღაზიების ღამით მომარაგების რეჟიმზე გადასვლას რაც შეამცირებს როგორც ლოჯისტიკურ ხარჯებს მათ შორის საწვავის მოხმარებას და შესაბამისად გარემოზე მავნე ზეგავლენას.
- დისკაუნტერი (discounter store) – ამ კონცეფციის მაღაზიებით კომპანია უკვე რამდენიმე წელია ოპერირებს. მიმდინარე შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ აღნიშნული ფორმატი წარმატებული პროექტია. კომპანია გეგმავს უფრო მეტი აქცენტი გააკეთოს დისკაუნტერის მიმართულებით სოპერაციო ეფექტურობაზე და ასორტიმენტის ოპტიმიზაციაზე რაც მისცემს საშუალობას შესთავაზოს მომხმარებელს მოთხოვნი ასორტიმენტი უფრო დაბალი ფასებით.
- საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (private label) – აღნიშნული უნიკალურობას სძენს კომპანიის ასორტიმენტს და ეხმარება მომხმარებლისთვის საუკეთესო შეთავაზების ფორმირებაში. ასევე იძლევა ფასების ოპტიმიზაციის საშუალებას, გამომდინარე იქიდან რომ ასეთ შემთხვევებში შეკვეთა ხდება დიდ პარტიებად, კომპანიას საშუალება აქვს შეინარჩუნოს სტაბილური ფასები. ამ ეტაპზე კომპანიის სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები, რომელიც „NI“-ის ბრენდის გამოდის, ბაზარზე პოზიციონირებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფასის მქონე, რაც ზრდის მომხმარებლებისთვის ასორტიმენტის ამ ნაწილის ხელმისაწვდომობას, კომპანიას კი საშუალებას აძლევს მეტი მომხმარებელი მოიზიდოს. ასევე კარგი მექანიზმია მომწოდებლებისგან პროდუქციის მოწოდებაში წყვეტის პრევენციისთვის. ამ ფაქტორთა ერთობლიობა ზრდის კომპანიის ეფექტურობას და აუმჯობესებს კომერციულ პირობებს.

- ასორტიმენტის გაუმჯობესების და მომხმარებლებისთვის შეთავაზების სრულყოფის მიზნით იგეგმება გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტი. უპირველეს ყოვლისა აქცენტი კეთდება ჯანსაღი კვების პროდუქტებზე. იმპორტი ძირითადად ხდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, ვინაიდან კომპანიას მაღალი მოთხოვნები აქვს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.
- გაყიდვების ალტერნატიული არხების განვითარება – პანდემიამ ნათლად აჩვენა გაყიდვების დისტანციური არხების განვითარების აუცილებლობა. მომავალში იგეგმება ამ მიმართულების დახვეწა-განვითარება. გარდა ამისა HORECA-ს სექტორის აღდგენასთან ერთად უფრო მეტად გაიზრდება ფოკუსი კორპორატიული გაყიდვების მიმართულებით.
- კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია – კომპანია აქცენტს აკეთებს პროცესების ავტომატიზაციასა და მათი მართვის ციფრულ ფორმატში გადატანაზე. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს SAP-ის იმპლემენტაციის პროცესი. ასევე კომპანია გეგმავს თვითმომსახურების ტერმინალების დამატების მსხვილი ფორმატის მაღაზიებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიკორას გეგმები ხორცპროდუქტების წარმოების განვითარებისა და გაფართოებისთვის, რისთვისაც ნიკორა ჯგუფში შემავალი კომპანია - შპს ნიკორა მნიშვნელოვან ინვესტიციას დებს ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობაში, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. პროექტის დასრულების ვადაა 2023 წელი.

1.7. ფინანსური ინფორმაცია

სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას „ჯგუფში“ შემავალი 15 მოქმედი შვილობილისთვის. სს ნიკორა 100%-იანი წილის მფლობელია თითქმის ყველა კომპანიაში, გამონაკლისებია: სს ნიკორა ტრედი (96,94%), შპს ვაკიჯვრის კალმახი (94%), შპს კულინარი (50%), შპს „ნიკორა ბაკურიანი“ (50%), შპს „მილა საქართველო“ (50%) და შპს „რეფ ენი“ (63,09%). „ჯგუფი“ სრულად აკონტროლებს ყველა შვილობილი კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან.

„ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და „ჯგუფი“ მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით 2013 წლიდან. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულად შემოწმებულია შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიას“ მიერ.

1.7.1. ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
აქტივები		
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
გუდვილი	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	135,916	165,594
არამატერიალური აქტივები	4,766	6,340
მსხმოიარე ნარგავები	770	1,121
იჯარით სარგებლობის უფლება	95,402	118,196
სხვა ფინანსური აქტივები	1,223	2,463
სულ გრძელვადიანი აქტივები	281,695	337,332
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>		
მარაგები	88,113	128,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,707	32,838
სხვა მიმდინარე აქტივები	96	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	20,462	39,804
სულ მოკლევადიანი აქტივები	133,378	201,457
სულ აქტივები	415,073	538,789
კაპიტალი და ვალდებულებები		
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>		
ჩვეულებრივი აქციები	6,471	6,471
პრივილეგირებული აქციები	19,158	19,546
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-728	-501
გადაფასების რეზერვი	24,887	24,081
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	7,297	76,562
არამაკონტროლებელი წილი	1,719	3,794
სულ კაპიტალი და რეზერვები	58,804	129,953
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
ობლიგაციები და სესხები	61,383	94,636
საიჯარო ვალდებულება	83,172	88,178
გადავადებული შემოსავალი	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	147,092	185,351
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	112,213	166,194
ობლიგაციები და სესხები	72,572	31,023
საიჯარო ვალდებულება	24,392	26,268
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	209,177	223,485
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	415,073	538,789

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
შემოსავალი	749,678	1,012,729
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-530,453	-710,289
საერთო მოგება	219,225	302,440
სხვა შემოსავალი	816	1,002
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	-143,347	-188,582
ადმინისტრაციული ხარჯები	-31,561	-42,310
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	45,133	72,550
ფინანსური შემოსავლები	241	1,564
ფინანსური ხარჯები	-23,851	-24,612
სხვა ფინანსური ხარჯები	10,195	19,393
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	170	1,330
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	31,888	70,225
მოგების გადასახადი	-1,053	-1,243
წლის მოგება	30,835	68,982
სხვა სრული შემოსავალი		
ელემენტები, რომელიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში		
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-1,447	807
წლის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე	-1,447	807
სულ წლის სრული შემოსავალი	29,388	69,789
მოგება მიკუთვნებადი:		
სათაო კომპანიის მფლობელებზე	29,426	66,934
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	1,409	2,048
მთლიანი შემოსავალი მიკუთვნებადი:		
სათაო კომპანიის მფლობელებზე	28,010	67,700
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	1,378	2,089

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

	ჩვეულებრი ვი სააქციო კაპიტალი	პრივილეგი რებული სააქციო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გადაფასები ს რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტ როლებელ ი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	6,471	6,910	(696)	26,432	(315)	38,802	853	39,655
წლის მოგება	-	-	-	-	29,426	29,426	1,409	30,835
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	(1,416)	-	(1,416)	(31)	(1,447)
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(319)	319	-	-	-
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	190	(14,016)	(13,826)	(512)	(14,338)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(5,000)	(5,000)	-	(5,000)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(988)	(988)	-	(988)
აქციების გაყიდვა	-	12,248	-	-	-	12,248	-	12,248
ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა	-	-	(32)	-	(2,129)	(2,161)	-	(2,161)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	6,471	19,158	(728)	24,887	7,297	57,085	1,719	58,804
წლის მოგება	-	-	-	-	66,934	66,934	2,048	68,982
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	766	-	766	41	807
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(1,752)	1,752	-	-	-
ოპრაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	180	(6,662)	(6,482)	(14)	(6,496)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(5,648)	(5,648)	-	(5,648)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(1,373)	(1,373)	-	(1,373)
აქციების გამოშვება	-	1,430	-	-	-	1,430	-	1,430
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	-	(1,042)	-	-	-	(1,042)	-	(1,042)
სახაზინო აქციების შესყიდვა	-	-	(32)	-	(2,012)	(2,044)	-	(2,044)
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	-	259	-	16,274	16,533	-	16,533
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	6,471	19,546	(501)	24,081	76,562	126,159	3,794	129,953

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება:


ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	31,888	70,225
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	39,257	45,199
ფინანსური ხარჯი	23,851	24,612
მარაგების გაუფასურება	15,393	17,748
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(10,195)	(19,393)
კოვიდ 19 - ის შედეგატი და სუბსიდია	(4,414)	-
მოგება/(ზარალი) ბიოლოგიური ტრანსფორმაციიდან	(2,059)	(2,099)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	451	50
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალების გასვლიდან	175	(521)
საპროცენტო შემოსავალი	(241)	(1,564)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(9,056)	(7,902)
მარაგების ზრდა	(28,480)	(56,351)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	20,127	56,450
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	76,697	126,454
გადახდილი პროცენტები	(22,874)	(25,143)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,062)	(1,143)
მიღებული პროცენტები	353	1,501
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	53,114	101,669
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(22,346)	(59,932)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(2,881)	(1,953)
ძირითადი საშუალებების გასვლა	954	8,862
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის ზრდა	(2,089)	(5,882)
ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(26,362)	(58,905)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	294,775	361,292
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(281,497)	(363,001)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(23,152)	(23,095)
გადახდილი დივიდენდები	(5,452)	(6,995)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	(2,158)	(3,363)
საკუთარი აქციების გაყიდვა	6,344	12,277
წმინდა ფულადი სახსრების გადინება ფინანსური საქმიანობიდან	(11,140)	(22,885)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	15,612	19,879
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში.	4,984	20,462
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	(134)	(537)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	20,462	39,804

1.7.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ელემენტების მიმოხილვა

აქტივები


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა ლ538.8 მილიონი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი ლ415.1 მილიონს შეადგენდა. ხოლო 2020 წელთან შედარებით ეს კუმულაციურ 18.7%-იან წლიურ ზრდას წარმოადგენს. აქტივების ზრდა შედეგია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების მიერ როგორც ინვესტიციების განხორციელებით - პირველ რიგში კი, სს ნიკორა ტრეიდის სუპერმარკეტების ქსელის გაფართოებაში, ასევე გაზრდილი ბრუნვისთვის საჭირო მიმდინარე აქტივების მატების.

აქტივების ზრდა და განაწილება



ძირითადი საშუალებები წარმოადგენს აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (31%). მიწის და შენობების ღირებულება დგინდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა) დამოუკიდებელი, შესაბამისი სერტიფიცირების მქონე, შემფასებლის მიერ. ბოლოს ასეთი შეფასება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის განხორციელდა სს „სავი“-ის მიერ საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად (International Valuation Standards Committee 2013 - IVSC, მეთაუ გამოცემა).

ძირითადი საშუალებების შემადგენლობა:



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივების 24%-ს შეადგენს. 2021 წელთან შედარებით მარაგების მოცულობა 46%-ით გაიზარდა, რაც განპირობებულია კომპანიის გაყიდვების ზრდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2020	2021	2022
ღირებულება (ათასებში)	72,967	88,113	128,815
წილი მოკლევადიან აქტივებში	78%	66%	64%
წილი სრულ აქტივებში	19%	21%	24%

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. 2022 წლის ბოლოსთვის სავაჭრო ვალდებულებები ჯამური მოკლევადიანი ვალდებულებების 74%-ს შეადგენდა. ამასთან, თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ნიკორა ტრეიდის საქმიანობის გაფართოებით და ეფექტიანობით. გაფართოებული პლატფორმა კომპანიის პოზიციებს აძლიერებს და აძლევს საშუალებას უკეთესი პირობები მიიღოს სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები	2020	2021	2022
ღირებულება (ათასებში)	93,231	112,213	166,194
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	54%	54%	74%

სესხები და ობლიგაციები

	2021 წელი	2022 წელი
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	26,370	24,384
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით.	241	753
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	-	-
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით.	34,772	69,499
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	61,383	94,636
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	43,136	29,762
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	112	105
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	-	86
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	29,324	1,070
სესხების მიმდინარე ნაწილი	72,572	31,023
სულ სესხები და ობლიგაციები	133,955	125,659

საბანკო სესხები არის 1- დან 10 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 11% და 10.5%) დამატებული 3.5-7%. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 5.2%-9.85% მცოცავი განაკვეთი მიზნული Euribor-ზე, დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6.64% - 11.86% მცოცავი განაკვეთი მიზნული აშშ დოლარის LIBOR-ზე. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს ლარებში ნომინირებულ სესხებს და მათი განაკვეთი არის 11%. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

2021 წლის 12 ნოემბერს, ჯგუფმა გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2024 წლის 12 ნოემბერი. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 11,1464 პროცენტი) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (საშუალოდ 28 ნოემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 11.1466%) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაციები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.

ქვემოთ მოცემულია ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს ნიკორა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

მომგებიანობიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ფულადი ნაკადებიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ვალდებულება EBITDA-სთან მაქსიმუმ (DEBT/EBITDA)	4.5 (4 ბანკის ხელშეკრულებით)

იჯარები აღრიცხული ფასს 16-ის თანახმად

საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი მაღაზიების და სასაწყობე ფართების იჯარას. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-12 წლამდე პერიოდს. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იმ ფართების შემთხვევაში, რომელიც ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია და მოქმედებს წარსული გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფი იჯარის ვადას გადახდევს ყოველი პერიოდის ბოლოს და მსჯელობის საფუძველზე აფასებს იჯარის დარჩენილ ვადას. იჯარის გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ჯგუფს არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 11.21 % - 14.00 % ლარში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხოლო დოლარის ხელშეკრულებების შემთხვევაში 7.00% - 8.25%.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას:

	2021	2022
1 იანვარი	103,835	95,402
შემოსვლა	18,444	32,855
ცვეთა	-18,575	-20,854
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	-7,431	11,017
შეწყვეტა	-871	-224
31 დეკემბერი	95,402	118,196

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას:

	2021	2022
1 იანვარი	126,929	107,564
შემოსვლა	18,444	32,855
საპროცენტო ხარჯი	9,625	9,221
გადახდა	-32,777	-32,317
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	-6,114	-13,607
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	-7,431	11,017
შეწყვეტა	-1,112	-287
31 დეკემბერი	107,564	114,446

კაპიტალი

სს “ნიკორას”, სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (2021: 6,471 ათასი) ჩვეულებრივ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 145 და 151 ცალი შესაბამისად) პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციონერების შესახებ ინფორმაცია მოცემული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

აქციების გაყიდვა/გამოსყიდვა:

კომპანიამ 2022 წელს გამოსყიდა 32 ათასი და გაასხვისა 259 ათასი ჩვეულებრივი კლასის აქცია.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას გამოსყიდული ქონდა 501 ათასი (2021: 728 ათასი) საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 501 ათასი ლარი (2021: 728 ათასი ლარი). საკუთარი აქციების გამოსყიდვის/ხელახალი გაყიდვის დროს გადახდილ/მიღებულ თანხასა და ნომინალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხა იმ პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გამოსყიდეს/გაყიდეს აქციები.

1.7.3. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

შემოსავალი:

ჯგუფის ამონაგები ფორმირდება მაღაზიებიდან პროდუქციის საცალო რეალიზების და წარმოება, იმპორტი დისტრიბუციიდან საბითუმო რეალიზაციის შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში. 2022 წელს ჯგუფის კონსოლიდირებულმა გაყიდვებმა €1,012.7 მილიონი შეადგინა, რაც 35.1%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
საკვები	465,378	555,742
არასაკვები	184,051	337,740
სულ საცალო	649,429	893,482
საკვები	99,381	118,539
არასაკვები	77	2
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	776	607
სხვა	14	99
სულ საბითუმო	100,248	119,247
სულ	749,678	1,012,729

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
სულ შემოსავალი	749,678	1,012,729
გაყიდული პროდუქტი	-519,140	-695,949
დანაკლისი	-4,926	-4,884
ვადგასული პროდუქტი	-5,898	-9,106
სხვა	-490	-350
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-530,453	-710,289
საერთო მოგება	219,224	302,440
<i>საერთო მოგების მარჟა</i>	<i>29.2%</i>	<i>29.9%</i>

შემოსავალი 35.1%-ით გაიზარდა, ხოლო რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 33.9%-ით, შედეგად, საერთო მოგების მარჟა 0.7 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და 2021 წელთან შედარებით.

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
სულ შემოსავალი	749,678	1,012,729
სულ გაყიდვითი საქონლის თვითღირებულება	-530,453	-710,289
საერთო მოგება	219,224	302,440
სხვა შემოსავალი	816	1,002
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	-143,347	-188,582
ადმინისტრაციული ხარჯები	-31,561	-42,310
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	45,132	72,550
საოპერაციო მოგების მარჟა	6.0%	7.2%

საოპერაციო მოგება 60.7%-ით, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟა 6.0%-დან 7.2%-მდე გაიზარდა. გაზრდილია გაყიდვების და მიწოდების ხარჯები, აღნიშნული პუნქტი მოიცავს საწვავის, ელექტროენერგიის და სადისტრიბუციო, ასევე გაყიდვების პერსონალის ხარჯებს, რაც ბუნებრივად, გაყიდვების მატების კვალობაზე გაიზარდა.

გაყიდვების და მიწოდების ხარჯი:

გაყიდვების და მიწოდების დანახარჯები მოიცავს მაღაზიის კონსულტანტების, მოლარეების და სავაჭრო მაღაზიის სხვა თანამშრომლების ხელფასს, აგრეთვე მარკეტინგისა და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასს; აგრეთვე მოიცავს სავაჭრო მაღაზიის შენობების, თაროების, მაცივრებისა და მაღაზიის სხვა აღჭურვილობის, სადისტრიბუციო მანქანების ცვეთას ასევე იჯარით სარგებლობის აქტივის ცვეთას და სხვა გაყიდვასთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ხარჯებს:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
თანამშრომელთა ხელფასი	-63,131	-88,538
ცვეთა და ამორტიზაცია	-33,800	-37,873
კომუნალური ხარჯი	-19,899	-23,327
დისტრიბუცია	-6,913	-10,557
საბანკო ხარჯი	-4,412	-6,288
მარკეტინგის ხარჯი	-3,965	-5,298
იჯარა	-2,964	-7,879
რემონტი	-2,654	-3,152
სხვა	-5,608	-5,670
სულ	-143,347	-188,582

ადმინისტრაციული ხარჯები:

ათასი ლარი	2021 წელი	2022 წელი
თანამშრომელთა ხელფასი	-17,916	-25,883
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	-4,079	-3,408
ცვეთა და ამორტიზაცია	-2,563	-4,521
საგადასახადო ხარჯი	-2,553	-2,267
საოფისე ხარჯი	-723	-866
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	-636	-784
სხვა	-3,090	-4,581
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	-31,561	-42,310

1.7.4. ფინანსური რისკების მართვა

საბაზრო რისკი

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომლებიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზაქციების უმეტესობა ლარებში ხორციელდება, ჯგუფს ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	31.12.2022		31.12.2021	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	96	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1	1	11	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,030	207	839	127
სულ	2,031	208	946	127
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,350	6,137	7,556	3,640
საიჯარო ვალდებულებები	98,968	298	94,716	519
სესხები და ობლიგაციები	12,656	10,821	15,379	13,602
სულ	118,974	17,256	117,651	17,761
წმინდა სავალუტო პოზიცია	(116,943)	(17,048)	(116,705)	(17,634)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძნობელობას.

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი + 20%
მოგება/(ზარალი) 2022	(23,389)	23,389	(3,409)	3,409
მოგება/(ზარალი) 2021	(23,341)	23,341	(3,527)	3,527

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021		2022	
	ზრდა 100	შემცირება 100	ზრდა 100	შემცირება 100
	საბაზისო	საბაზისო	საბაზისო	საბაზისო
	პუნქტით	პუნქტით	პუნქტით	პუნქტით
მოგება/(ზარალი)	-1,336	1,336	-1,247	1,247

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს. მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, სხვა ფინანსური აქტივებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებასა და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი

ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივები

წმინდა სავაჭრო მოთხოვნები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სულ ფინანსური აქტივები

	2021წელი	2022წელი
	96	-
	14,335	24,724
	20,462	38,419
	34,893	63,143

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს.

2022	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	146,688	-	-	-	146,688
საიჯარო ვალდებულებები	19,004	15,523	94,627	11,379	140,533
სესხები და ობლიგაციები	33,502	8,242	112,291	3,806	157,841
სულ ფინანსური ვალდებულებები	199,194	23,765	206,918	15,185	445,062

კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის პირველი იანვრიდან.

საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები ვალდებული არიან უზრუნველყონ კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა და შესაბამისი ანგარიშის პირველადად წარდგენა უზრუნველყონ 2023 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის (არაუგვიანეს 2024 წლის 15 მაისი).

მიმდინარედ, ზემოაღნიშნულ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანამდე, კომპანიას, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოს, შეეძინილი აქვს კორპორაციული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში რომელიც მოიცავს კორპორაციული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს; საზოგადოების წესდება საჯაროა, კერძოდ განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა..

2.1. მმართველობის ორგანოები

საზოგადოების წესდების თანახმად, საზოგადოების უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის ფუნქციებს ასრულებს გენერალური დირექტორი.

2.1.1. პარტნიორთა საერთო კრება

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, სხვა შემთხვევებში მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება წესდებით განსაზღვრული პირობების მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) შეცვალოს საზოგადოების წესდება, მათ შორის, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, შეიტანოს სხვა ცვლილებები საზოგადოების წესდებაში, გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის, ან გარდაქმნის შესახებ;
- გ) მთლიანად, ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს, აგრეთვე, საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას.
- დ) მიიღოს, ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; ამასთან, აქციონერებს შორის დივიდენდის განაწილება მოხდება ყოველწლიურად, თუ აქციონერთა საერთო კრება არ მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების გაუნაწილებლობის თაობაზე;
- ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში და გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;
- ვ) დაამტკიცოს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
- ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- თ) აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;
- ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას.
- ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღების ან/და უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც აღემატება 20 (ოცი) მილიონ ლარს;

უფლების განხორციელების წესი

აქციონერთა კრების ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის, განსაზღვრულია აქციების მფლობელების მიერ გადაწყვეტილების მიღების ხმათა სხვადასხვა პროცენტული რაოდენობები, წესდებით და კანონით დადგენილი წესების გათვალისწინებით;

ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს გენერალური დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქციონერთა უფლებამოსილებები

საზოგადოების აქციონერს უფლება აქვს:

- ა) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას და ჩვეულებრივი აქციის შემთხვევაში - მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში;
- ბ) იქონიოს ერთი ხმა აქციონერთა კრებაზე ყოველ მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებულ აქციაზე, გარდა პრივილეგირებული აქციისა, რომელიც არ იძლევა ხმის უფლებას;
- გ) ინფორმირებული იქნას საერთო კრების ჩატარებისა და მათზე განსახილველი საკითხების თაობაზე;
- დ) გასანაწილებელი მოგებიდან მიიღოს დივიდენდი მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად, ხოლო პრივილეგირებულ აქციებთან მიმართებაში დადგენილი განაკვეთით;
- ე) გაასხვისოს ან შეიძინოს აქციები მთლიანად, ან ნაწილობრივ; ნებისმიერი კლასის აქციების დაგირავების, გასხვისებისთვის ან მესამე პირზე სხვა ფორმით გადაცემისთვის აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა, საერთო კრების თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში თუ აქციის სრულად გასხვისება/დაგირავება/გადაცემა ხდება საზოგადოებაზე. აქციონერთა კრების მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება წესდებით გათვალისწინებული წესით.
- ვ) მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;
- ზ) სამეთვალყურეო საბჭოსგან მოითხოვოს იმ საკითხების დაზუსტება, რომლებიც შედის აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში;
- თ) მოსთხოვოს განმარტებები გენერალურ დირექტორსა (დირექტორებს) და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო და გამოთქვას თავისი აზრი.
- ი) გაასაჩივროს საერთო კრების, დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- კ) შეიტანოს სარჩელი ან შეგეზბული სარჩელი მესამე პირის მიმართ, თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ. აღნიშნული უფლების მატარებელია მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მქონე აქციონერი;
- ლ) საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერები უფლებამოსილნი არიან: მოითხოვონ ინფორმაცია, ან დოკუმენტაცია საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შესახებ; მოითხოვონ საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის, ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს; მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იქნას წერილობით. თუ კრება არ იქნება მოწვეული მოთხოვნიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საზოგადოების ადგილსამყოფელის შესაბამისად; მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების თაობაზე. სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების თაობაზე.

2.1.2. სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი წევრების არჩევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია, საზოგადოების წესდების თანახმად, შემდეგია:

- ა) კონტროლი გაუწიოს გენერალური დირექტორ(ებ)ის საქმიანობას; მოითხოვოს გენერალური დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების საღარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. მასვე შეუძლია აღნიშნული უფლებამოსილებანი დაავალოს საბჭოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- გ) მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუ ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს;
- დ) შეამოწმოს წლიურ ანგარიშები, მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
- ე) დანიშნოს და გამოიწვიოს საზოგადოების გენერალური დირექტორი;

ამასთან, გენერალურმა დირექტორმა (დირექტორებმა) მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- ა) საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
- გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების მიღება;
- დ) სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს.
- ე) სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას და აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ.
- ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- ზ) სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი (ზოგადი) პრინციპების დადგენა;
- თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- ი) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;
- კ) ხელმძღვანელ მუშაკათათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- ლ) საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს.
- მ) წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე/წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01015005694, 06.04.1968 გურამ ცერცვაძე
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01015002814, 05.09.1971 ირაკლი ნიკოლაიშვილი
წევრი: 01008004852, 28.02.1957 დავით დუმბაძე
წევრი: 01013004932, 08.05.1969 დავით ცირეკიძე
წევრი: 33001005416, 24.09.1966 გელა არობელიძე
წევრი: პასპორტი ნომერი: 71 7143091, 27.12.1967 ოლეგ გუბანოვი;

სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები წლის განმავლობაში საშუალოდ ტარდება 10-ჯერ.

აუდიტის კომიტეტი:

2017 წლის აგვისტოდან, კომპანიის აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს:

- ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- გ) ფინანსური ანგარიშგების/ კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- დ) აუდიტის/აუდიტორული კომპანიის დამოუკიდებლობას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- ე) აუდიტის კომიტეტი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში კომიტეტის მონაწილეობის შესახებ.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან:

- ა) თავმჯდომარე: 33001005416, 24.09.1966 გელა არობელიძე
- ბ) წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი
- გ) წევრი: 01015005694, 06.04.1968 გურამ ცერცვაძე

2.1.3. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალუა გენერალურ დირექტორს.

გენერალური დირექტორი, საზოგადოების წესდების თანახმად:

- ა) საზოგადოებას წარმოადგენს სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხს აგებს საზოგადოების ყოველდღიურ მართვაზე;
- ბ) საზოგადოების სახელით დებს გარიგებებს;
- გ) განკარგავს საზოგადოების სახსრებსა და ქონებას, წარმოადგენს საზოგადოებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გაცემს მინდობილობებს;
- დ) უზრუნველყოფს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ და დროულ აღსრულებას;
- ე) ვალდებულია წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ვ) ადგენს საზოგადოების წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად.
- ზ) ვალდებულია საზოგადოების საქმეები წარმართოს კანონმდებლობის, წესდების და აქციონერთა გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- თ) ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განახორციელოს ის ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების თანახმად საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას. თანხმობა მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით.
- ი) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;
- კ) საზოგადოების თანამშრომლებს განუსაზღვრავს დისციპლინური სახდელისა და წახალისების ფორმებს;
- ლ) ამტკიცებს საზოგადოებისა და მისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების საშტატო განრიგს;
- მ) განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს;
- ნ) ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების შინაგანაწესს;
- ო) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს;

საზოგადოების გენერალური დირექტორია ირაკლი ბოქოლიშვილი

ბატონი ირაკლი ბოქოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როდესაც იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. მან 1985 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1989 წელს დაიცვა დისერტაცია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკურ მოდელირებაში. არის 21 სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი. 1989-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1993-2010 წლებში იყო სს „ბაზის ბანკის“ დამფუძნებელი, სადაც მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. მას აგრეთვე გააჩნია მაგისტრის ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; აღნიშნულის შესაბამისად, ამასთან გასათვალისწინებელია რომ, კანონით დადგენილ ვადებში კომპანიის მიერ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც მოითხოვება მეწარმეთა შესახებ ახალი კანონით, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა

საზოგადოების აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს არ წარმოადგენს;


3. არაფინანსური ანგარიშგება

3.1. დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

კომპანია „ნიკორა ჰოლდინგი“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. ჰოლდინგი აერთიანებს დედა კომპანიას, სს „ნიკორას“ და 15 შვილობილ კომპანიას, თითოეული შვილობილი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი, (1) სს „ნიკორა“ ჰოლდინგის ქვედანაყოფი და (2) სს „ნიკორა ტრეიდის“, სუპერმარკეტების ქსელის, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები. აღნიშნული ორივე სტრუქტურული ერთეული სრულიად დეცენტრალიზებულად და დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ამავდროულად ფართო მასშტაბის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და თანამშრომელთა მომსახურების აქტივობებს ერთობლივი კოორდინაციით და შეთანხმებით ახორციელებს.

ადამიანური რესურსების მართვის ორივე ქვედანაყოფის მიზანია: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს ის, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები იყოს ურთიერთთანხვედრაში. ორივე სტრუქტურული ქვედანაყოფი აქტიურად მუშაობს, როგორც სამუშაო ძალის შენარჩუნებაზე ასევე, ახალი თანამშრომლების მოძიებასა და მათი კომპანიაში დროულ ინტეგრირებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებასა და კომპანიის განვითარების ტემპის შენარჩუნებაში. კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელიც შიდა პოლიტიკისა და მიმართულებების მიხედვით შესაბამისი პროცედურები და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება ყველა აუცილებელი წესის დაცვით. გარდა შინაგანაწესისა შვილობილი კომპანიების ჭრილში, ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკების გათვალისწინებით, დანერგულია სხვა მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტები, რომლებიც თანამშრომლებისთვის და დამსაქმებელისთვის ხდის მკაფიოს და ნათელს შრომით ურთიერთობას და ზოგადად, სამუშაო პროცესებს

კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას. შესაბამისად, „ნიკორა“ ჰოლდინგში, კომპანიის განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად მზარდია.



31.12.2022 მდგომარეობით, ჰოლდინგის მასშტაბით, დასაქმებულთა რაოდენობა - 8,894 თანამშრომელს შეადგენს.


შენიშვნა: ქვემოთ მოცემული საკითხები ფარავს საწარმო მიმართულებით ადამიანური კაპიტალის მართვის საკითხებს.

გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდებარეობით და მამრობითი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა. აღნიშნული თანასწორობის დაცვაზე პირდაპირ მეტყველებს ყველა შვილობილ კომპანიაში დანერგული შინაგანაწესის ჩანართები, რომლებიც სრულიად თანხვედრაშია სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ასევე, მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით “სს ნიკორა” ჰოლდინგი

ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნის ემიგრანტების დასაქმებას, რომელიც ამ ეტაპზე ათიოდე თანამშრომლით შემოიფარგლება. მიუხედავად, სქესის, რასისა და წარმომავლობის სამუშაო პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერი პირი შეძლებს აღნიშნულ კომპანიაში დასაქმებას.

დასაქმებულთა ასაკობრივ განაწილება, 31.12.2022 მდგომარეობით, არის შემდეგი:

თანამშრომელთა ასაკობრივი გადანაწილება



ჰოლდინგის მასშტაბით არსებულ თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლის დაქირავება. ჰოლდინგში მუშაობს რამოდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე:

- წარმოებასა და სასაწყობო მეურნეობის მიმართულებით;
- დისტრიბუციის მიმართულებით;
- ადმინისტრაციის მიმართულებით;
- ზოგიერთი წარმოების თანამშრომლების ანაზღაურების სისტემა სამუშაო გრაფიკებისა და საათობრივი კოეფიციენტების მიხედვით;
- ასევე, სავაჭრო მიმართულებით შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში შპს „ნიკორას“ ბაზაზე დაინერგა თანამშრომელთა შეფასების სისტემა. წარმატებით შედგა ამ კომპანიის თანამშრომელთა 2018 და 2019 წლის შეფასების პროექტები, მოხდა შედეგების დათვლა/დაანგარიშება და აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით თანამშრომელთა წახალისება. პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე და დისტანციური მუშაობის გათვალისწინებით 2020 და 2021 წელს აღნიშნული შეფასება არ განხორციელებულა. 2022 წლის ჭრილში განახლდება შეფასების პროცესი, რომელიც გულისხმობს ბევრად კომპლექტურ პროცესს, სამუშაო სივრცეში და თეორიულ კომპონენტებში სწავლებას და შემდეგ შეფასებას ტექნოლოგიური სამსახურის მიერ. სატესტო რეჟიმში კვლავ მიმდინარეობს თანამშრომელთა შეფასების პროცესი, უზნების მიხედვით საკონტროლო წერტილებით. აღნიშნული შეფასების პროცესი უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების ხარისხის დაცვას და ტექნოლოგიური ჯაჭვის უწყვეტობას. შეფასების შედეგების ვარიაციების მიხედვით იგეგმება ყოველთვიური და ყოველკვარტლური წახალისება თანამშრომლების. 3 სამუშაო უბანი უკვე სატესტო რეჟიმშია და ამავდროულად მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.

HR-ის მიზანია, გამართული შეფასების სისტემის საფუძველზე, შევქმნათ და დავნერგოთ გამჭირვალე, ობიექტური და თანამშრომლებისათვის მისაღები სამოტივაციო სისტემა.

თანამედროვე საწარმო პროცესები და დასაქმებულთა მოთხოვნები ყოველთვის საჭიროებს ტექნოლოგიური პროცესების შემოტანას. შესაბამისად, რამდენიმე შვილობილმა კომპანიამ შეიძინა თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის პროგრამა და დანერგა. პროგრამული უზრუნველყოფა ითვალისწინებს თანამშრომლების ინდივიდუალურ პროფილებს, მობილურ და ინტერნეტ წვდომებს. შედეგად ნებისმიერ თანამშრომელს თუ მენეჯერს შეუძლია პირადი და დაქვემდებარებული პირების სამუშაო დროების, შევბუღებების თუ ბიულეტენების ლიმიტების, პირადი დოკუმენტაციის, კომპანიის სიახლეების ელექტრონულად, სწრაფად გაცნობა. აღნიშნული პლატფორმები ვითარდება და კიდევ ბევრ სიახლეს შესთავაზებს მომხმარებელს.

შპს ნიკორას, ყველაზე ხანდაზმული საწარმოა ხორც-პროდუქტების. ბაზაზე შეიქმნა მრავალწლიანი გამოცდილების და ცოდნის გამაერთიანებელი ელექტრონული პლატფორმა ე.წ. ვიკიპედია. აღნიშნული

აერთიანებს ყველა საწარმო პროცესის თუ ტექნიკური დანადგარის, ინსტრუმენტის სამუშაო ინსტრუქციებს, ვიდეო მასალებს, არსებულ მსუყე ლიტერატურას და ასევე, სხვა სამეცნიერო ლიტერატურის წვდომის საშუალებებს. თითოეულ თანამშრომელს, როგორც თავის სამუშაო უბნის, ასევე, მთლიანი საწარმოს ინსტრუქციებზე შეუძლია ონლაინ წვდომა, ვიდეო მასალების და სხვა თანამედროვე ლიტერატურის გაცნობის შესაძლებლობა. სასწავლო პროცესის თვალსაზრისით პლატფორმა უზრუნველყოფს გარკვეულ სტატისტიკებს, სერთიფიკატების განერიბებას, ტესტირებას და სხვა თანამედროვე სწავლების მეთოდებს ელექტრონული სწავლების.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა კორპორატიული პროექტები: კორპორატიული ღონისძიება, სადღესასწაულო დღეების მილოცვა, სხვადასხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება შვილობილ კომპანიებს შორის, საზაფხულო ექსკურსიები, გუნდურობისა და თანამშრომლებში კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ღონისძიება და თიმბილდინგი ჩატარებულია.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სწავლებები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: (1) ახალი თანამშრომლების ადაპტაციის მოდული (2) სავალდებულო სწავლებები, მაგალითად შრომის უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება და პირველადი სამედიცინო დახმარება. (3) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები უშუალოდ საწარმო და სამუშაო სივრცეში გამოყოფილი მენტორების მიერ.

მალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი, გამომდინარე აქედან, კომპანიაში არსებობს „შრომის უსაფრთხოების მენეჯერის“ თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი პასუხისმგებელია ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოების ნორმები, ტარდებოდეს პრევენციული მონიტორინგი და ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება. ყოველწლიურად წარმოების თანამშრომლებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოების კუთხით შიდა სწავლება, ხოლო ყველა ახალი თანამშრომელი, წარმოების ტერიტორიაზე შესვლამდე გადის ინდივიდუალურ სწავლებას შრომის უსაფრთხოების ნორმების და ჰიგიენურ/სანიტარული ნორმების დაცვის კუთხით. ასევე, ყოველწლიურად სახელმწიფო კანონმდებლობის გათვალისწინებით მიმდინარეობს შემდეგი პოზიციების ოფიციალური ორგანიზაციების მიერ სერთიფიცირება, გადამზადება და შემდეგ ტესტირება. ეს სამუშაო პოზიციებია: ელექტრიკოსის პროფესია და შესაბამისი პოზიციები, საქვების და ქვე-სადგურის სამუშაო პოზიციები, ცვლის უფროსების და სამუშაო ჯგუფების საგანგებო მდგომარეობის დროს რეაგირების მექანიზმის სწავლება და სხვა.

დამატებით, ნიკორას შვილობილ კომპანიებში, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა 100 ადამიანზე მეტია, მოხდა პასუხისმგებელი პირების გამოყოფა და მათი გადამზადება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერთიფიცირებულ პოზიციაზე. აღნიშნული პირები დაინიშნენ შესაბამისი პოზიციებზე, შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად, მეტად უსაფრთხო და მოქნილ სისტემებს ნერგავენ ადგილობრივ საწარმო პროცესებში.

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების მხრიდან დადგენილი ჰიგიენურ/სანიტარული ნორმებისა და ხარისხი მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურების დაცვას. დედა კომპანიის სს „ნიკორას“ სტრუქტურაში, არსებობს ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზირებულად ემსახურება ჰოლდინგში შემავალ ყველა შვილობილ კომპანიას. დეპარტამენტში არსებული სპეციალისტების მატრიცული განაწილება ხდება შვილობილ კომპანიებზე, სპეციალისტები ახორციელებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს და შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში მიმართავენ შესაბამის ზომებს. პერიოდულად ხდება სპეციალისტების როტაცია შვილობილ კომპანიებს შორის, პრევენციის მიზნით. დამატებით, რამდენიმე შვილობილ კომპანიაში ფართო მასშტაბიანი საქმიანობიდან გამომდინარე გამოყოფილია შიდა თანამშრომლების ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურად ჰიგიენურ/სანიტარული ნორმების დაცვაზე. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა წარმოების პროცესში, რამდენად იცავენ თანამშრომლები დადგენილ წესებს და სწორედ ამისთვის ტარდება ყოველდღიური მონიტორინგი წარმოებაში. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი, სამუშაო ადგილზევე ახორციელებს თანამშრომლის სწავლებას მის ტერიტორიაზე დადგენილ/გაწერილ წესების ფარგლებში. ამას გარდა, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება ჰიგიენა/უსაფრთხოების კუთხით შიდა ტრენინგები და თანამშრომელთა სწავლება, რომელიც წელიწადში ორჯერ გეგმიურად განხორციელდება.

კომპანიაში არსებობს ბენეფიტების სისტემა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბენეფიტი შეიძლება ითქვას, რომ არის წარმოებების და ლოჯისტიკური მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების კვება. თანამშრომლების გამოკვებას ემსახურება ჰოლდინგის შვილობილი კომპანიის შპს „ნიკორას“ ბაზაზე არსებული კაფეტერია, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. ისევე როგორც წარმოებაში, ხდება სამზარეულოს ხარისხის კონტროლი, როგორც მზა პროდუქტის, ასევე ნედლეულის. 2022 წლის დასასრულს სრულიად მოხდა

გარემონტება და ახალი ინვენტარით დაკომპლექტება აღნიშნული კაფეტერიის. თანამშრომლებისთვის გაუმჯობესებული საკვები სივრცე და ამალეული ხარისხიანი კვება. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა ბენეფიტური სისტემა: მრავალშვილიან მშობლებთან მიმართებით, დაბადების დღის სიურპრიზები, სადღესასწაულო პრემიები, სწავლების დაფინანსებები, სპორტული აქტივობების ფასდაკლების ბარათები, ყოველთვიური გათამაშებები, სხვადასხვა ტიპის საჩუქრები და სხვა.

2022 წლის დასაწყისში, გარდა კვებისა, განხორციელდა რამდენიმე შვილობილი კომპანიის მასშტაბით თანამშრომელთა ტრანსპორტირების დაფინანსება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ნიკორა ჰოლდინგს, როგორც დამსაქმებელს. თანამშრომლებს კი რადიკალურად გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს სთავაზობს. თითქმის ყველა შვილობილმა კომპანიებმა აითვისა სატრანსპორტო ბარათების დაფინანსების ბენეფიტი.

თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევით. დაზღვევის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ: დისტრიბუციის, სავაჭრო, სასაწყობო და წარმოების მიმართულებებით დასაქმებული თითოეული თანამშრომელი (ყველა, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება) გადის ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას, ამას გარდა, კომპანიის სათაო ოფისსა და საწარმოო ტერიტორიაზე მდებარეობს პირადი ექიმის სამუშაო ოთახი, რომელიც თანამშრომლებს ადგილზევე უწევს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს ვიწრო პროფილის ექიმთან.

ბოლო 2 წლის განმავლობაში აქტიურად დაინერგა საორიენტაციო სწავლების კულტურა, რაც აუცილებელია ახალი თანამშრომლების სამუშაო პროცესებთან ადაპტაციისთვის. ყველა თანამშრომელი აქტიურად ეცნობა ძირითად ინფორმაციას ნიკორა ჰოლდინგის სტრუქტურასთან და კომპანიის ძირითად მახასიათებლებთან დაკავშირებით, რაც უმარტივესტ მათ ადაპტაციის პროცესს. ამ კუთხით აქტიურად არის ჩართული ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი. საორიენტაციო სწავლების პროცესში საწარმოო პროცესების გასაცნობად სასწავლო მოდული შედგება ტექნოლოგიური ნაწილისგან, რომელსაც წარმართავს კომპანიის ტექნოლოგიური თუ წარმოების ხელმძღვანელებისგან შემდგარი ჯგუფი, სწავლების ბოლო ნაწილი ჰიგიენის და შრომის უსაფრთხოება არის, რომელსაც უძღვებიან ხარისხის მართვის დეპარტამენტიდან გამოყოფილი თანამშრომლები. საორიენტაციო სწავლების მოდული განთავსებულია ახალ სასწავლო პორტალზე, რათა თანამშრომლები მარტივად მიწვდნენ სასწავლო მასალებს.

საბოლოოდ, კომპანიის მასშტაბები და შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად ზრდადია. შრომითი ბაზრის ძლიერ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად „სს ნიკორა“ ჰოლდინგს მუდმივად უწევს ზრუნვა კორპორატიული კულტურის გაძლიერებაზე, პერსონალის განვითარებასა და მათ კმაყოფილებაზე.

3.2. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი საკითხები

„ნიკორა“ ჰოლდინგი გარემოსდაცვით საკითხებში აქტიურად არის ჩართული, შესაბამისად კომპანიას ჰყავს შესაბამისი პროფილის სპეციალისტი – გარემოსდაცვითი მმართველი.


კომპანიის მასშტაბით ხდება ნარჩენების აღრიცხვა, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დახარისხების მეთვალყურეობა, მათი გადაცემა სათანადო კონტრაქტორ ორგანიზაციებზე.

კომპანია მუდმივად ზრუნავს, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ბუნებრივი რესურსების ფუჭი გამოყენება, რისთვისაც საქმიანობაში ჩართული ობიექტები აღჭურვილია ენერგოეფექტური ტექნიკითა და ხელსაწყოებით, ასევე მუდმივად ხდება ახალი გზების მოძიება და პრაქტიკის დახვეწა იმისათვის, რომ კომპანიამ მოიხმაროს რაც შეიძლება ნაკლები ბუნებრივი რესურსი და რაც შეიძლება ნაკლები ნახშირორჟანგი და წვის შედეგად წარმოქმნილი სხვა აირები აღმოჩნდეს ატმოსფეროში.

გარემოს დაბინძურების და მასზე მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით, სავაჭრო ობიექტების აღჭურვისას კომპანია იყენებს ენერგოეფექტურ და გარემოსადმი მეგობრულ ტექნიკას. კერძოდ: ენერგოეფექტური მაცივარ დანადგარები, რომლებიც ახალი თაობის ფრეონს და ნაკლებ ელექტრო ენერგიას მოიხმარენ; ენერგიის დამზოგავი ლედ განათების სისტემები; ენერგიის დამზოგავი ლუმენები.

ოპერირების პროცესში „ნიკორა“-ს პრიორიტეტია ნარჩენების საერთო რაოდენობის შემცირება, ხოლო გარდაუვალი ნარჩენის - რეციკლირება, განადგურება ან ნაგავსაყრელზე შესაბამისი წესების დაცვით განთავსება.

ნარჩენების მართვის პროცესში კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი პირამიდით:



შრომის უსაფრთხოების საკითხები

კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი, რომლის დაქვემდებარებაში არის 5 სპეციალისტი, კომპანიას საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. განყოფილების ძირითადი ფუნქციაა კომპანიისა და შვილობილი კომპანიების მიერ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სისტემების დანერგვა და განვითარება. კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას.

კომპანია უზრუნველყოფს ტრავმებისა და პროფესიული დაავადებებისაგან თავისუფალ და დაცულ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვითა და პროფესიული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

2022 წლის განმავლობაში:

მოხდა შრომის უსაფრთხოების დებულების გადახედვა და დამტკიცება, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. მოხდა საწარმოების თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზება, რომელთა შინაარსი მოიცავდა: ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო საკითხებს, ელექტრო უსაფრთხოების საბაზისო საკითხებს, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოქმედების ინსტრუქციას, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამოქმედო გეგმას, საწარმოსთვის/უბნისთვის სპეციფიკური უსაფრთხო ქცევის წესებს.

2022 წლისათვის დაგეგმილია:

გეგმიური ტრენინგები ჰოლდინგის მასშტაბით, ასევე წარმოებების აღჭურვა გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და სავალდებულო ნიშნებით.

3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა

ქართულ ბაზარზე სს „ნიკორა“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კვების პროდუქტების მწარმოებელია. ჰოლდინგში 12-ზე მეტი ბრენდი ერთიანდება, მათ შორის არის საქართველოში მარკეტების ყველაზე დიდი ქსელი „ნიკორა სუპერმარკეტი/ლიბრე“, საკვები პროდუქტების წარმოების სხვადასხვა მიმართულებებია: ხორცპროდუქტები, თევზეული, პურ-ფუნთუშეული, რძის ნაწარმი, ნაყინი, მზა კერძები, ნახევარფაბრიკატები, იმპორტირებული პროდუქცია.

სს „ნიკორას“ მისიაა ჰოლდინგში შემავალი კომპანიებისთვის მაქსიმალური პირობების შექმნა და ხელშეწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს უმაღლესი ხარისხის კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც საზოგადოებისთვის იქნება ორიენტირებული კვების ინდუსტრიაში.

სს „ნიკორა“ აღიარებს და ეფუძნება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა: პატიოსნება, პასუხისმგებლობა, სწრაფვა განვითარებისკენ. კომპანიის მიერ ამ პრინციპებისადმი ერთგულების შედეგია, რომ სამომხმარებლო ბაზარს ვთავაზობთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას, მრავალფეროვან ასორტიმენტს, მაღალი კლასის მომსახურებას.

კომპანიის მიერ აღიარებული ფასეულობები და მოქმედების უმთავრესი პრინციპია - ქონდეს მომხმარებელს ამომწურავი ინფორმაცია ჩვენი პროდუქტების, ასორტიმენტის, ნედლეულის შესახებ, ამასთანავე, წარმოებული პროდუქციის სტაბილური მაღალი ხარისხი განაპირობებს სამომხმარებლო კმაყოფილებას, ნდობას, რეპუტაციას.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მომხმარებელი, მათი საჭიროებების, მოთხოვნებისა და ბრენდის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა. რისთვისაც ტარდება, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი კვლევები, რაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ბაზრის მოთხოვნები, თუ რა განაპირობებს სამომხმარებლო კმაყოფილებას, გავითვალისწინოთ შენიშვნები და მაქსიმალურად მოვერგოთ მომხმარებელს. სწორედ ბაზრის კვლევის და მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ ხდება ახალი პროდუქტების შეთავაზება, დანერგვა. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, არსებული პროდუქტების გემოს დახვეწვა და ჩვენი საზოგადოების საგემოვნო პარამეტრებზე მორგება. უმნიშვნელოვანესია მომხმარებლის უწყვეტი ჯაჭვი. მოსახლეობას არ შეექმნას დისკომფორტი და ყველა საჭირო პროდუქტი ადგილზე დახვდეს სავაჭრო ობიექტებში, რასაც ჩვენი კომპანია ღირსეულად პასუხობს.

2023 წელსაც, აქცენტს გავაკეთებთ განვითარებაზე. მიმდინარეობს ახალი, თანამედროვე ხორცპროდუქტების საწარმოს მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ პროდუქციის წარმოების წარმადობა, სამომხმარებლო ბაზარს შევთავაზოთ კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი პროდუქცია.

უცვლელია ჩვენი მიზანი და ამოცანები, კერძოდ, ნიკორას ბრენდის გათანამედროვეება, გაახალგაზრდავება, ბრენდის იდენტობის მომხმარებელამდე მიტანა, ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არსებული მომხმარებლების ლოიალურობის ზრდა. 2022 წლის კვლევის მონაცემებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაზრდილია ნიკორას სპონტანური ცნობადობა წინა წელთან მიმართებით, პროდუქციის მოხმარება, კმაყოფილების ინდექსი და მნიშვნელოვნად ვუსწრეთ ყველა პარამეტრით კონკურენტ ბრენდებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია სოციალურ ქსელებს, ინტერნეტ სივრცის სხვადასხვა პლატფორმებს, რის მეშვეობითაც უშუალო კომუნიკაციაში შევდივართ მომხმარებელთან, ვაწვდით ყველა საჭირო ინფორმაციას პროდუქციის, კომპანიაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ვქმნით კონტენტს (ინფორმაცია პროდუქციაზე, მის ხარისხზე, გამოყენების წესებზე, კულინარიული რეცეპტები, რჩევები, საბავშვო თემატიკა...), რომელიც ვფიქრობთ აქტუალურია ჩვენი საბაზისო აუდიტორიისთვის. პროპანგადას ვუწვევთ ცხოვრების აქტიურ წესს (ვარჯიში, მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს) ასევე ვიგებთ მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რაზეც მყისიერად ვრეაგირებთ. ეს არის ურთიერთობის უწყვეტი ჯაჭვი, რაც კომფორტულია, საჭიროა, როგორც მომხმარებლისთვის ასევე სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალი ბრენდებისთვის.

ნებისმიერი პრეტენზია შემოსული სხვადასხვა არხის საშუალებით აღირიცხება შესაბამის ფორმატში და რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამის სამსახურებს, რათა მომხმარებლის კმაყოფილება მაქსიმალურად შევინარჩუნოთ.

დღეს შექმნილია, ფაქტიურად, ყველა ბრენდის ფეისბუქ გვერდი, ესენია: „ნიკორა“, „კორიდა“, „მზარეული“, „ოკვანე“, „დღის პროდუქტები“, „პალომა“, რომელიც იმართება მარკეტინგის დეპარტამენტიდან და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომხმარებლის პულსზე ხელი გვიჭირავს.

დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქტის შეფუთვის ვიზუალურ მხარეს, ეტიკეტების წესს. ყველა პროდუქცია ქსელში გადის შემოწმებას სურსათის უვნებლობის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მომხმარებელს მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია ამა თუ იმ პროდუქტის შემადგენლობის შესახებ.

სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია განათლების ხელშეწყობა, დახმარება მთის რეგიონალური სკოლებისთვის. 2022 წელს ექვს სკოლას გადავეცით თანამედროვე კომპიუტერები, სასკოლო ბიბლიოთეკა, პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით საჭირო სასკოლო ინვენტარი. სკოლების დახმარების პროგრამა გაგრძელდება 2023 წელს და უფრო მეტს სკოლას მოვიცავთ ვიდრე შარშან.

ნიკორასთვის, ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვების ინდუსტრიის მიმართულებით ახალგაზრდების სწავლის წახალისება/მოტივაცია. ქვეყანაში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების დეფიციტია. სწორედ ამიტომ, რამდენიმე წელია კვების ტექნოლოგიის მიმართულებით წარმატებული სტუდენტები ნიკორას სტიპენდიანტები არიან. გვსურს ეს დარგი უფრო პოპულარული გავხადოთ და ხელი შევუწყოთ მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

კომპანია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვეობას, კომუნიკაცია იქონიოს მომხმარებელთან, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები და მუდმივად შესთავაზოს სიახლეები.

3.4. „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

„კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2018 წელს 4.8%-ს შეადგინა, 2019 წელს - 5.0%-ს, 2020 წელს პანდემიის ფონზე ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა. 2021 წელს საქსტატის მონაცემებით მშპ-ს ზრდა 10.5%-ს შეადგენდა ხოლო 2022 წელს წინასწარი მონაცემებით საქართველოს ეკონომიკა 10.1%-ით გაიზარდა. ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანია“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

სამომხმარებლო ფასის ინდექსით განსაზღვრული ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე „კომპანიის“ ბიზნესისთვის. სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ისეთი სწრაფად ბრუნვადი პროდუქტებისგან, რომელთანაც „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია. ქვეყანაში ფასების ზრდის სამიზნეზე მაღალ მაჩვენებელზე ხანგრძლივად შენარჩუნებამ და/ან მისმა არასტაბილურმა დინამიკამ შესაძლოა გაზარდოს ხარჯებისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შემცირების გამო გაზარდოს წნეხი მარჟაზე, რამაც, თავისთავად, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე. მაკროეკონომიკური რისკების დეტალებისთვის იხილეთ „ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე“.

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 14 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ქვეყანაში ტურისტების რაოდენობას გარკვეული გავლენა აქვს საცალო გაყიდვების მოცულობაზე, რადგან ზოგიერთი ტურისტი საქართველოში ყოფნის დროს ადგილობრივ მაღაზიებში ყიდულობს პროდუქციას. 2020 წლის მარტიდან კოვიდ პანდემამ მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში ტურიზმის მოცულობაზე და შესაბამისად „კომპანიის“ გაყიდვებზე. მოცემული ვითარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება 2022 წლიდან. 2022 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 173%-ით გაიზარდა და 4.7 მილიონი შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ამ პერიოდში 2.82-ჯერ გაიზარდა.

კომპანიას აქვს რისკები ახალი ან არსებული საცალო მაღაზიების გაფართოებასთან და განვითარებასთან დაკავშირებით

კომპანია სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, რომელიც მოიცავდა 52 მაღაზიას 2010 წელს, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა 465 მაღაზიას.

ზრდის ამგვარი ტემპის გამო შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპერაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების მართვაში კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მოხდა ნუგეშის ქსელის შესყიდვა, ასევე

აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მაღაზიების გახსნა. ყოველივე ამის შედეგად 2015 წელს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა 93-ით გაიზარდა, რაც 85%-იან ზრდას ნიშნავს. ახლადშექმნილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წელს წარმატებით დასრულდა.

კომპანიის სწრაფმა ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წნეხი შეუქმნას ხელმძღვანელობას და მათი ყურადღება შეასუსტოს ყოველდღიურ საოპერაციო საკითხებთან დაკავშირებით.

კომპანიას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

აღნიშნულმა შესაძლოა კომპანიას სირთულეები შეუქმნას რამდენიმე მიმართულებით. მაგ.: წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რომელიმე მომწოდებლის ბაზრიდან გასვლა. კომპანია აღნიშნულ რისკებს მართავს მომწოდებლების მაქსიმალური დივერსიფიკაციის გზით. უმსხვილესი მომწოდებლის წილი („ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების გარდა) ნაკლებია 5%-ზე. გარდა ამისა პროდუქტების თითოეულ კატეგორიაში რამდენიმე მომწოდებელია, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი. ასევე შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

საგალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“

ამჟამად საგალო ვაჭრობის სექტორი საქართველოში დაყოფილია ორგანიზებულ და არა-ორგანიზებულ სეგმენტებად. საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ორგანიზებულ სეგმენტში ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი პოზიცია გაყიდვების მოცულობის მიხედვით „კომპანიას“ უჭირავს. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და ბაზარზე შედეგად გამოჩნდეს დამატებით ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვევოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება. არაორგანიზებული სეგმენტი დანაწევრებულია ინდივიდუალურ მოთამაშეებად და მათ კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოსალოდნელია მოხდეს არაორგანიზებული სეგმენტის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით პანდემიის ფონზე მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი გახდა პროდუქციის ონლაინ მიწოდების სერვისი. ნიკორას სუპერმარკეტები კონკურენტების მსგავსად თანამშრომლობს Glovo-ს მიტანის სერვისთან. არსებობს რისკი, რომ Glovo-ს მიტანის სერვისის მაღალი საფასურის შემთხვევაში მომხმარებელმა არჩიოს პროდუქციის გამოძახება ისეთი ქსელებიდან, რომლებიც თავად უზრუნველყოფენ პროდუქციის მიტანას და არ ითხოვენ დამატებით საფასურს აღნიშნულ მომსახურებაში.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობადმა ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე და ასევე ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

„კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან გაკეთებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული და კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“. გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკურსო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდ ფასებში ასახვა მალევე შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია, თუმცა არსებობს რისკი, რომ ადგილობრივი მომწოდებლების და დისტრიბუტორების მიერ მოხდეს ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის ნიკორა მუდმივად ცდილობს, და ამისთვის იყენებს შესაბამის მექანიზმებს, მინიმალურ დონეზე იქონიოს უცხოურ ვალუტებზე დამოკიდებულების ხარისხი. ასე მაგალითად უკვე 2019 წლის ბოლოდან სასესხო ვალდებულებების დიდი ნაწილი ლარშია დენომინირებული, მათ შორის სს ნიკორას და სს ნიკორატრეიდის მიერ გამოშვებული ობლიგაციები, რომლითაც გადაიფარა საცალუტო სესხები.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურირაცია და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

თუმცა, ნიკორას გააჩნია საკმარისი ფინანსური ბერკეტები და ინსტრუმენტები კაპიტალის ეფექტურად მართვისთვის, და ამავე დროს აპრობირებული აქვს, საქართველოს ბაზრის მასშტაბის გათვალისწინებით, მსხვილი კაპიტალის, როგორც სავალო ისე სააქციო, მოზიდვა, რასაც მუდმივად შეფერხების გარეშე ემსახურებოდა. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, უფრო მარტივს ხდის კომპანიისთვის იაფი კაპიტალის ბაზარზე წვდომას.

შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე.

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორც კაცა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის ბევრი წევრი წლის განმავლობაში მუშაობს სავალო ვაჭრობის და საკვების წარმოების სფეროებში და „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. როგორც კომპანიისთვის ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს კორპორაციული მართვის კოდექსზე, რის შედეგადაც კიდევ უფრო დაიხვეწება და მეტი მოთხოვნა დაწესდება შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში. აღნიშნულმა

რეგულაციებმა შესაძლოა, გაზარდოს კომპანიის სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე

ადგილობრივ, ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით, შესაბამისად, კომპანიას დანერგილი აქვს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომ უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და ჯანმრთელობისთვის უვნებლობა, მათი პერიოდული შემოწმებით და ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგითა და გაუმჯობესებით.

კომპანიას დანერგილი აქვს სურსათის უვნებლობის, ხარისხის და გარემოდსაცვითი მენეჯმენტის სისტემები და მიღებული აქვს შესაბამისი ISO სერთიფიკატები: 22000:2018, ვადიანობით 2024 წლის 18 დეკემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2024 წლის 18 დეკემბრამდე; ISO 14001:2015 ვადიანობით 2024 წლის 14 ნოემბრამდე.

არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეეღაზოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

თუმცა, ნიკორა ოპერირებს ისეთ დარგში, როგორიცაა ყოველდღიური მოხმარების კვების პროდუქტების წარმოება-გაყიდვა, შესაბამისად, ზემოთ მოცემული რისკების მიმართ არსებითად უფრო მედეგია, ვიდრე სხვა დარგში მოღვაწე ქართული კომპანიები, ვინაიდან ყოველდღიური მოხმარების კვების პროდუქტების ბაზარი შედარებით ნაკლებად მგრძნობიარეა ისეთი ფაქტორების ცვლილების მიმართ როგორიცაა პოლიტიკური თუ სამართლებრივი და გარკვეულწილად ეკონომიკური პირობებიც.

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე და მის ფინანსურ შედეგებზე.

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონალური კრიზისის ფონზე, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ გამოავლინა მდგრადობა და შეინარჩუნა დადებითი ზრდის ტემპი. პანდემიის დაწყებამდე, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2017-2019 წლებში შეადგენდა 4.9%-ს (2017 წელი, 4.8%, 2018 წელი, 4.8%, 2019 წელი, 5.0%).

კოვიდ-19 პანდემიამ საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზიანდა ტურიზმი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2022 წელს მოხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღდგენა. კერძოდ, 2021 წელთან შედარებით, რეალური მშპ გაიზარდა 10.1%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 13.4%-ით.

პანდემიის პერიოდში ასევე მოხდა მთავრობის ვალის მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, 2020 წელს, მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან გადააჭარბა თავისუფლების აქტით განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულს და შეადგინა 60.2%. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 38.9%-ს, ხოლო 2019 წელს, 40.4%-ს. 2021 ბოლოსკენ მოხდა მთავრობის ვალის შემცირება და ნიშნულმა 49.7% შეადგინა. მოცემული მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოს კიდევ უფრო შემცირდა და შეადგინა 41.4%. ფინანსთა სამინისტროს თანახმად მოსალოდნელია, რომ შემცირების

ტენდენცია გაგრძელდება და 2023 წლის მდგომარეობით მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-სთან 38.32%-ს, 2026 წლის ბოლოს კი 36.39%-ს გაუტოლდება.

2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,352.2 მილიონი აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მაჩვენებელმა 589.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო არარეზიდენტი კომპანიიდან რეზიდენტი კომპანიისადმი საკუთრების გადაცემა. 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,241.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც 110.55%-ით აღემატება 2020 წლის მნიშვნელობას, მაგრამ 8.16%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. 2022 წელს წინასწარი მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2,000.0 მილიონი აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 61.05%-ით მეტია. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაერთიანებული სამეფოდან, რომლის წილი 2021 წლის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენს 48.61%-ს. კერძოდ, 2020 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაერთიანებული სამეფოდან გაიზარდა 99.18%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 154.1%-ით. 2022 წლის პირველადი მონაცემების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაერთიანებული სამეფოდან 2021 წელთან შედარებით შემცირდა 29%-ით და შეადგინა 428.3 მილიონი აშშ დოლარი. დანარჩენი ქვეყნების შეთხვევაში 2021 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 146.6%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით - 41%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 7.75%, 2020 წელს 3.72%, 2021 წელს 6.67%, ხოლო 2022 წელს 8.13% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ასევე წარმოადგენს თურქეთი, რომლიდანაც ინვესტიციები 2019 წლის დონესთან შედარებით სრულად აღდგენილი არ არის. ამ მონაცემების შესაბამისად და იმის გათვალისწინებითაც, რომ თურქეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, აღნიშნულ ქვეყანაში ეკონომიკის შემცირებამ, ვალუტის გაუფასურებამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და/ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და დიდი ზეგავლენა აქვს მთლიანი ეკონომიკის ზრდაზე. 2021 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 1.72 მილიონი იყო. ამ მაჩვენებელი 2022 წელს 4.7 მლნ შეადგინა, რაც 173%-ით აღემატება წინა წლის დონეს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით. ამან მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა

ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანიამ“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში. ცვლილებები მოსალოდნელია საკვების უსაფრთხოების რეგულაციებშიც.

აღნიშნული რისკი ისეთ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ამავე დროს დამატებით დადებით შესაძლებლობებს აჩენს კომპანიისთვის. დღესდღეობით საქართველოს ხორცპროდუქტების ბაზარზე საკმაოდ რაოდენობის წვრილი კომპანია ოპერირებს, რომელთა პროდუქციის ხარისხი საკმაოდ დაბალია ნიკორას მიერ წარმოებულზე, თუმცა მაღალი სტანდარტის რეგულაციების არ არსებობის გამო, მათ ერთგვარი თავისუფლება აქვთ მიცემული. თანამედროვე ევროპული რეგულაციების საქართველოში დანერგვის შედეგად ნიკორა, კონკურენტებთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება ერთის მხრივ მისი უკვე არსებული მაღალი ხარისხი პროდუქციის გამო და მეორეს მხრივ, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, იაფი კაპიტალის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობით.

აგრეთვე ხაზგასასმელია არაორგანიზებული უზნის მაღაზიების, მოცემული ეტაპისთვის, ბაზარზე არსებული წილის მოსალოდნელი შემცირების ეფექტიც. თანამედროვე ევრორეგულაციები და ნორმები არამხოლოდ კვების პროდუქტების წარმოების სტანდარტებს შეეხება, არამედ მათი შენახვის და საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდების თანამედროვე პირობებს, შესაბამისად ამ მიმართულებითაც ნიკორას დამატებით შესაძლებლობა და გაფართოების პოტენციალი გააჩნია.